<u>საქართველო - ევროკავშირის მეცამეტე დიალოგი ადამიანის უფლებების საკითხებში</u>

2 ივლისი 2020, ონლაინ რეჟიმში

(შეძლებისდაგვარად ვერბატიმ გაკეთებული ჩანაწერი)

საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ და საქართველოს მხრიდან დელეგაციის ხელმძღვანელმა ვახტანგ მახარობლიშვილმა გახსნა რიგით მეცამეტე საქართველო-ვროკავშირის დიალოგი ადამიანის უფლებების საკითხებში. ევროკავშირის მხრიდან დიალოგს ხელმძღვანელობდა რიჩარდ ტიბელს, ევროკავშირის საგარეო ქმედებათა სამსახურის აღმოსავლეთ პარტნიორობის ორმხირივი ურთიერთობების განყოფილების უფროსი.

<u>ვახტანგ მახარობლიშვილი, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო</u>

კოვიდ-19-ის პანდემიის მიუხედავად კარგია, რომ დიალოგი ტარდება. დადებითი სიახლეა, რომ 2021 წელს აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტი ჩანიშნული პორტუგალიის პრეზიდენტობის დროს. აღსანიშნავია, რომ დიალოგში მონაწილეობას იღებს არაერთი სპიკერი, შესაბამისად მნიშვნელოვანია დროის ეფექტური მენეჯმენტი, რათა დიალოგი მაქსიმალურად ეფექტიანად ჩატარდეს.

<u>რიჩარდ ტიბელს, ევროკავშირის საგარეო ქმედებათა სამსახური</u>

ხაზგასმას არც საჭიროებს ის ფაქტი, რომ ადამიანის უფლებები ევროკავშირი-საქართველოს ურთიერთობის ეპიცენტრშია. ადამიანის უფლებები და კანონის უზენაესობა იქნება ერთ-ერთი უმთავრესი წინაპირობა თუ გვაქვს ამბიცია აღმოსავლეთ პარტნიორობა 2020 წლის შემდგომ ახალ ეტაპებზე იქნას გადაყვანილი. ტიბელსმა ხაზი გაუსვა, რომ პოლიტკურად მნიშვნელოვანი დროა საქართველოში მომავალი არჩევნების სახით. ასევე აღნიშნა, რომ უზომოდ დადებითი წინ გადადგმული ნაბიჯია საკონსტიტუციო ცვლილებების მიღება სულ რამოდენიმე დღის წინ. ევროკავშირი ელის 8 მარტის შეტანხმების სრულ იმპლემენტაციას. გვესმის, რომ მიმდინარეობს საარჩევნო კანონმდებლობაზე მუშაობა და მხარს ვუჭერთ საქართველოს იყოს ამბიციური საკუთარ მიზნებში. ადამიანის უფლებები განსაკუთრებით სენსიტიური თემა გახდა მოსახლეობის რიგი ჯგუფებისთვის - ვინც კონფლიქტის ზონებში ცხოვრობენ პანდემიის ჟამს. არაერთი მიმართულებით და ფორმატით მიმდინარეობს გენდერულ თანასწორობაზე და დისკრიმინაციის აკრძალვაზე ორმხრივად მუშაობა. ასევე ძალიან გვაინტერესებს თქვენი დასკვნები და შთაბეჭდილებები ევროპის საბჭოს თავმჯდომარეობის პერიოდიდან.

<u>ვახტანგ მახარობლიშვილი, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო</u>

ნამდვილად მნიშვნელოვანი ფორმატია ადამიანის უფლებების საკთხებში დიალოგი ევროკავშირთან. გარდა სხვა ფორმატებისა რომელიც გვაქვს ევროკავშირთან, ადამიანის უფლებების საკითხებში დიალოგის მეშვეობით შესაძლებელია საქართველოს მიერ გატარებული რეფორმების წარმოჩენა, კარგი შესაძლებლობაა გავეცნოთ ამჟამად არსებულ ვითარებას და მიმოვიხილოთ შესაძლებლობები, თუ სად არის გაუმჯობესება შესაძლებელი. ადამიანის უფლებები მოგეხსენებათ ასოცირების შეთანხმების ნაწილია, ასევე EaP Deliverables აქცენტს აკეთებს ადამიანის უფლებებზე, რომლის იმპლემენტაციაც საქართველოსთვის ასევე მნიშვნელოვანია. აქვე ხაზი გვსურს გავუსვათ უვიზო რეჟიმს ევროკავშირთან, მის მნიშვნელობას და ავღნიშნოთ, რომ საქართველოს პარლამენტი მუშაობს გასვლის კონტროლთან დაკავშირებულ კანონმდებლობაზე, რაც კომპლექსური პროცესია და მადლობელი ვართ ევროკავშირის მხრიდან გამოცდილების და ექსპერტიზის გაზიარებისთვის, ვინაიდან მნიშვნელოვანია ისეთი ზომები იქნას მიღებული, რომ ამავდროულად საქართველოს მოქალაქეების გადაადგილების თავისუფლება იქნას მაქსიმალურად დაცული. მივესალმებით ასევე ევროკავშირის გადაწყვეტილებას მესამე ქვეყნებთან შენგენის საზღვრის გახსნასთან დაკავშირებით, საქართველოს 14 ქვეყნის სიაში ჩართვა აღიარებაა ქვეყნის მიერ პანდემიასთან წარმატებული

ბრძოლის და აღნიშნულ საკითხზე გრძელდება მუშაობა ბრიუსელში და წევრ სახელმწიფოებთან. ველით დიალოგის პროცესში ნაყოფიერ დისკუსიებს.

<u>რიჩარდ ტიბელს, ევროკავშირის საგარეო ქმედებათა სამსახური</u>

ფაქტი, რომ საქართველო შეყვანილი იქნა 14+1 ქვეყანათა სიაში ხაზს უსვამს, რომ საქართველო ძალიან ეფექტურად და სრული სერიოზულობით შეებრძოლა კოვიდ-19 პანდემიას. ჩვენი მხრიდან გირჩევთ ქვეყნების სიასთან/საზღვრებთან დაკავშირებით აქტიურად და ბევრი იმუშაოთ ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან. ვინაიდან დღის წესრიგი მიღებულია, გადავიდეთ პირველ საკითხზე, რომელზეც კოლეგა ადრიანო მარტინს ადამიანის უფლებათა დირექტორატიდან ისაუბრებს.

1. *ადამიანის უფლებების პოლიტიკის განვითარება და პრიორიტეტები ადამიანის უფლებათა დიალოგის მეთორმეტე შეხვედრის შემდგომ*

<u>ადრიანო მარტინს, ევროკავშირის საგარეო ქმედებათა სამსახური</u>

2019 წლის მანძილზე ევროკავშირმა რიგი ინიციატივები განახორციელა, მათ შორის იყო ინფორმაციის თავისუფლების უკეთ დაცვა, როგორც ონლაინ ისე ოფლაინ რეჟიმში. ევროკავშირმა მიიღო გაიდლაინები უსაფრთხო ონლაინ გარემოსთვის. რეგულაცია იქნა მიღებული ტერორისტული მოწოდებების შემცველი ინფორმაციის გავრცელებასთან დაკავშირებით. ევროკავშირმა ასევე მიიღო ზომები "განგაშის ამტეხი" პირების დასაცავად, რაც ე.წ. „პანამას დოკუმენტების" სკანდალს მოყვა. ევროკავშირი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სამოქალაქო საზოგადოებასთან ურთიერთობას და სთავაზობს მხარდაჭერას ადამიანის უფლებათა დამცველებს, ვინც რისკის ქვეშ არიან. პანდემიის პერიოდში ადამიანის უფლებების ჯეროვანი დაცვა გამოწვევა იყო ევროკავშირისთვის, ვინაიდან საფრთხე შეექმნა სიცოცხლის უფლებას და სხვა უფლებებს. ევროკავშირის მიერ მიღებული ზომები პანდემიის დასამარცხებლად ეფუძნება სოლიდარობას, დისკრიმინაციის აკრძალვას და ადამიანის უფლებების პატივისცემას.

<u>ვახტანგ მახარობლიშვილი, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო</u>

საქართველოს მთავრობა განაგრძობს ძალისხმევის მობილიზებას ადამიანის უფლებების ჯეროვანი დაცვის მიზნით. ასევე კორონავირუსის პანდემიის დროს. ზომები, რომელიც მიღებული იქნა იყო პროპორციული, საჭირო, ანტი-დისკრიმინაციული, კონკრეტული და დროებით საჭიროებისამებრ. შეზღუდვები დაწესებული იქნა მხოლოდ კანონმდებლობით ნებადართულ ფარგლებში, ევროკონვენციის შესაბამისად. შეზღუდვების პროცეში, საქართველო მაქსიმალურად ცდილობდა დაეცვა გამოხატვის თავისუფლება, ისევე როგორც ინფორმაციის თავისუფლება, რომელიც არ შეზღუდულა. უწყებათაშორის საბჭო შეიქმნა პანდემიის ადრეულ ეტაპზე, რომელიც აწვდიდა ინფორმაციას საზოგადოებას და მედიას, სადაც ყველას თანაბრად ქონდა წვდომა.

გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებით, უწყებათაშორის კომისიამ გაატარა რიგი სამუშაოები სქესობრივი ძალადობის აღსაკვეთად. 2019 წლის დეკემბერში სამუშაო ჯგუფი შეიქმნა ქალთა ეკონომიკური გაძლიერების საკითხზე სამუშოდ, ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის საკითხზე, ბავშვთა ქორწინების აღკვეთისთვის გასატარებელ ზომებთან დაკავშირებით, რომელმაც მიიღო კომუნიკაციის სტრატეგია კოვიდ-19-ის პანდემიის პერიოდში. ბავშვთა უფლებების სფეროში მიღებული იქნა ბავშთა უფლებათა კოდექსი, რაც მნიშვნელოვანი სიახლეა. უმცირესობათა უფლებები და მათი ჯეროვანი ინტეგრაცია ერთ-ერთი პრიორიტეტული სფეროა საქართველოს მთავრობისთვის. მედიის სფეროშიც იქნა მნიშვნელოვანი სიახლეები - მნიშვნელოვნად გაიზარდა სატელევიზიო მაუწყებელთა რიცხვი. საქართველო წინ მიიწევს საერთაშორისო რანგირების მხრივ მედიისა და პრესის თავისუფლების სფეროში. მაგალითად, "Freedom House"-ის ინფორმაციით საქართველო მსოფლიოს საუკეთესო ქვეყნების ათეულშია.

ნამდვილად მნიშვნელოვანი ნაბიჯია ცოტა ხნის წინ მიღებული საკონსტიტუციო ცვლილებები, ველით მეტ ფლურალიზმს საქართველოს შემდეგ პარლამენტში. ამავდროულად საარჩევნო კანონმდებლობის ცვლილებები საპარალამენტო განხილვის პროცესშია, რომელიც ეუთოს რეკომენდაციების მიხედვით იქნა შემუშავებული. მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას ადამიანის უფლებების მდგომარეობას საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებში, რომელიც უარესდება. საკითხს ვრცლად განვიხილავთ დიალოგის ფარგლებში, თუმცა აღსანიშნავია, რომ პანდემიის პერიოდშიც რუსეთის ფედერაცია და დე-ფაქტო ოკუპაციული რეჟიმი განაგრძობდნენ ახალ ბორდერიზაციას, გასვლითი ფუნქტების დაკეტვას, ჰიბრიდულ ომს პროპაგანდის მეშვეობით. იძულებით გადაადგილებულ პირებთან დაკავშირებით, საქართველო განაგრძობს მათი საცხოვრებლით უზრუნველყოფაზე მუშაობას, თუმცა მხოლოდ მთავრობის ძალისხმევა არ კამარა. შესაბამისად მნიშვნელოვანია ევროკავშირის მხარდაჭერა ისეთ ფორმატებში როგორიცაა ეუთო, გაერო და სხვა.

2. *ადამიანის უფლებათა ინსტრუმენტების იმპლემენტაციის ეროვნული მექანიზმების გაძლიერება*

<u>ლელა აქიაშვილი, საქართველოს პრემიერ-მინისტრის მრჩეველი</u>

ადამიანის უფლებათა უწყებათაშორისმა საბჭომ განაახლა სტრუქტურა, ფოკუსით პრიორიტეტებზე მომავალ პერიოდში. საბჭო გახლავთ მაღალი დონის გადაწყვეტილებების მიმღები უწყება, რომელიც 2016 წელს შეიქმნა საკოორდინაციო ფუნქციით. 2019 წლის დეკემბერში სტრუქტურა გადაისინჯა და გახდა ეროვნული ანგარიშვალდებული მექანიზმი. ადამიანის უფლებათა უწყებათაშორის საბჭოს თავმჯდომარეობს საქართველოს პრემიერ-მინისტრი და პასუხისმგებელია ქვეყანაში ადამიანის უფლებების სფეროში გატარებული სამუშაოს კოორდინაციაზე. სტრუქტურული ცვლილებების შედეგად სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა გაძლიერდა და საბჭოში არსებული 6 წევრის რიცხვი გაიზარდა 12 წევრამდე, რომლებიც წარმოადგენენ სამოქალაქო საზოგადოებას. ამავდროულად შექმნილია მრჩევლის ფუნქციის მქონე ორგანო, რომელშიც მონაწილეობენ ყველა არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებსაც სურთ მთავრობასთან თანამშრომლობა. იქმნება სხვადასხვა პლატფორმები. წელს 4 მთავარი პრიორიტეტი გვაქვს: 1. გენდერული თანასწორობა და ქალთა უფლებების მდგომარეობის გაუმჯობესება, რომელსაც ამჟამად 9 პრიორიტეტული მიმართულება აქვს. 2. ბავშვთა უფლებათა დაცვა, მათ შორის ბავშვთა ინტერესების დაცვა სისხლის სამართლის საქმეების საგამოძიებო პროცესში. 3. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირთა უფლებების დაცვა, რომლისთვისაც ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა ეროვნულ მექანიზმზე, რომელიც კოორდინაციას გაუწევს სახელმწიფო უწყებებს. პლატფორმები უკვე შექმნილია. შშმ პირთა უფლებების დაცვა პანდემიის პერიოდში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო და მიმდინარეობს მუშაობა CRPD პროტოკოლის რატიფიკაციის საკითხზე. 4. დისკრიმინაციის აკრძალვა ყველა მიმართულებით - ძალადობის აღმოფხვრა დისკრიმინაციის საფუძველზე და საკანონმდებლო ნორმების გაუმჯობესება, მოსახლეობაში ცნობადობის ამაღლება, ტოლერანტობის გაძლიერების და საპასუხო მექანიზმების მეშვეობით.

პანდემიის პერიოდში, მთავრობამ განსაკუთრებით დიდი ყურადღება დაუთმო საზოგადოების დაუცველ და მოწყვლად წევრებს. უზრუნველყოფილი იყო ჯანდაცვა როგორც კორონავირუსთან დაკავშირებული, ასევე სხვა. განათლების უფლება, წვდომა ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ არსებულ სხვადასხვა სერვისებზე, ისევე როგორც ინფორმაციაზე წვდომა იყო უზრუნველყოფილი. საქართველოს არ ქონია სრული „ლოქდაუნი“ არცერთ ეტაპზე და ოჯახური ძალადობის სერვისები ხელმისაწვდომი იყო უფასოდ 24/7 რეჟიმში. მთავრობის ანტი-კრიზისულ გეგმაში დიდი ყურადღება ეთმობა მოწყვლად ჯგუფებს და მაქსიმალურად შევეცადეთ გაგვეთვალისწინებინა ევროპის საბჭოს, ევროკავშირის რეკომენდაციები, რათა არავინ არ ყოფილიყო გამოტოვებული.

ნინო გახარია, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შემუშავებული აქვს გეგმა ადამიანის უფლებების დაცვის გაუმჯობესების შესახებ და გამოძიების ხარისხის დახვეწის მიზნით. 2018 წელს დაარსდა ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტმენტი, რომლის მიღწევები ცნობილია როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ. 2019 წელს გაფართოვდა დეპარტამენტი, თუმცა მთავარი ფუნქცია კვლავ არის ოჯახურ ძალადობასთან და დისკრიმინაციასთან ბრძოლა, სპეციალური ყურადღებით არასრულწლოვანთა მიერ და მათ წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების მიმართ. დეპარტამენტის შემადგენლობა 14 ადამიანიდან 50-ამდე იქნა გაზრდილი და დაარსდა მსხვერპლის, ასევე მოწმის საკოორდინაციო სამსახური გასულ წელს, რომლის მიზანი არის მსხვერპლის ინტერესების პრიორიტეტულობის დაცვა საგამოძიებო პროცეში, ხელახალი ვიქტიმიზაციის პრევენცია და რელევანტურ მომსახურებებზე წვდომაში დამხარება. დახმარება გაეწია 1000-ამდე ადამიანს და მიზანია აღნიშნული ხელმისაწვდომი გახდეს მთელი ქვეყნის მასშტაბით. ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის მიზანია შეიცვალოს პოლიციის დამოკიდებულება ადამიანის უფლებების მიმართ და შედეგებიც სახეზეა, ვინაიდან გასულ წელს არსებული პრობლემები თითქმის სრულად იქნა აღმოფხვრილი 2020 წლის მდგომარეობით.

თამარ ზუბაშვილი, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური დაარსდა გასულ წელს, რომელმაც ჩაანაცვლა მონაცემთა დაცვის ინსპექტორი. 2019 წლის ნოემბრიდან საგამოძიებო უფლებამოსილება ოპერაციული გახდა. სამსახური იღებს ზომებს, რათა გარანტირებული იქნას დამოუკიდებელი გამოძება: დაარსდა საგამოძიებო დეპარტამენტი, ოფისები მუშაობენ თბილისსა და ქუთაისში, 24 საათიანი ცხელი ხაზი გაიხსნა, რომლის მეშვეობითად მიიღება ინფორმაცია შესაძლო დანაშაულის ფაქტებზე, ასევე შემუშავდა ეთიკის კოდექსი. სამსახური აქტიურად თანამშრომლობს არასამთავრობო ორგანიზაციებთან და სახალხო დამცველთან ხშირი შეხვედრების მეშვეობით. 2019 ნოემბრიდან 1700 საჩივარი იქნა მიღებული და გამოძიება დაიწყო 200 საქმეში.

რიჩარდ ტიბელს, ევროკავშირის საგარეო ქმედებათა სამსახური

მივესამებით ადამინის უფლებათა საბჭოს ახალი სტრუქტურით და სამოქალაქო საზოგადოების უფრო აქტიურ ჩართულობას. კარგი შესაძლებლობაა საბჭომ უფრო ძლიერი ლიდერის ფუნქცია შეითავსოს ადამიანის უფლებათა პოლიტიკის განსაზღვრისას, კოორდინაციის, იმპლემენტაციის და მონიტორინგის პროცესში. საქართველოს აქვს კარგი პოლიტიკა და პრიორიტეტები, მთავარი საკითხია რეალობაშიც აისახოს, რის გამოც ველით საბჭოს ძლიერ როლს. მივესალმებით სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის როლსაც. სახალხო დამცველთან დაკავშირებით, მივესალმებით გაფართოებულ მანდატს და საინტერესოა სახალხო დამცველის თუ რამდენი რეკომენდაცია სრულდება სახელმწიფო ორგანოების მიერ. მნიშვნელოვანია შენარჩუნდეს სახალხო დამცველის დამოუკიდებლობა და სრულუფლებიანად შეძლოს მანდატის განხორციელება. კარგად მოგეხსენებათ ჩვენი ჩივილები ამ ნაწილში და ის დიდი მნიშვნელობა, რომელსაც სახალხო დამცველის როლს ვანიჭებთ.

გიორგი ბურჯანაძე, საქართველოს სახალხო დამცველის მოადგილე

გასული წლის ადამიანის უფლებათა დიალოგის შემდგომ მრავალი მიღწევა გვაქვს საქართველოში და ევროკავშირის მხარდაჭერა ამ პროცესში უმნიშვნელოვანესი იყო. მრავალი წლის მანძილზე ევროკავშირის ყველაზე დიდი მხარდამჭერი გახლდათ საქართველოს სახალხო დამცველის და მრავალი პროექტი თქვენი გულუვი მხარდაჭერის შედეგია. ამჟამად მთავარი საკითხი შეეხება სახალხო დამცველის აპარატის ფუნქციონირებას და მანდატის განხორციელებას. კანონით სახალხო დამცველს აქვს უფლება შევიდეს ყველა დახურულ დაწესებულებაში, განახორციელოს მონიტორნგი, დაწეროს ანგარიში და მოუწოდოს დაწესებულებას კონკრეტული ცვილებებისკენ. გასულ წელს ვრცელი ანგარიში დაიწერა სასჯელაღსრულების სფეროში არსებული ვითარების

შესახებ, ხოლო წელს ანგარიშის პარლამენტში განხილვისას იუსტიციის მინისტრის მხრიდან კითხვის ნიშნის ქვეშ იქნა დაყენებული ომბუდსმენის პროფესიონალიზმი. საკონომიტეტო განხილვისას იუსტიციის მინისტრმა აჩვენა ვიდეო ჩანაწერები სასჯელაღსრულების დაწესებულებებიდან, რომელიც წარმოაჩენს სახალხო დამცველის ვიზიტებს პატიმრებთან. იუსტიციის სამინისტროს განცხადებით ჩვენმა წარმომადგენლებმა დაარღვიეს გარკვეული წესები, თუმცა არასოდეს მოუმართავს უწყებას კონკრეტული ჩივილებით სახალხო დამცველის თანამშრომლების მიმართ, რისთვისაც სახალხო დამცველი გამოიყენებდა შიდა პროცედურას. სამწუხაროდ მას შემდეგ რაც ვიდეოჩანაწერები გასაჯაროვდა, პატიმრები უარს ამბობენ სახალხო დამცველთან შეხვედრაზე და ერთგვარი დისტანციის შექმნის/შიშის ეფექტი სახეზეა. სახელმწიფო ინსექტორმა დააჯარიმა იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების სამსახურის უფროსი და გადაწყვიტა განახორციელოს სასჯელაღსრულების სამსახურის მონაცემთა დაცვის მონიტორინგი.

იუსტიციის სამინისტროსთან მეორე ინციდენტს ადგილი ქონდა ომბუდსმენის ვიზიტის შემდგომ ციხეში, როდესაც პრეს-რელიზი იქნა გამოცემული პენიტენციალური სამსახურის მიერ და ყველა სახელი იქნა გაჟღერებული იმ ადამიანების, ვისაც ომბუდსმენი შეხვდა. ფაქტი აშკარა დარღვევაა OPCAT-ის და საქართველოს კანონმდებლობის. აღნიშნულთან დაკავშირებით მივმართეთ საქართველოს მთავარ პროკურატურას, თუმცა გამოძიება არ დაიწყო, მოტივით რომ არ იყო საკმარისი დანაშაულებრივი ნიშნები გამოძიების დასაწყებად. თუ სასჯელაღსრულების სამსახური განაგრძობს იმ პირთა დასახელებას, ვისაც ომბუდსმენი ხვდება, პატიმრებში შიშის დიდ ეფექტს გამოიწვევს. ურთიერთობები იუსტიციის სამინისტროსთან გაუარესებულია და სახალხო დამცველის აპარატი ნაკლებ და ნაკლებ პასუხებს იღებს უწყებისაგან. ყოველდღურად კი სახალხო დამცველს უხვი ოდენობის ინფორმაცია ესაჭიროება იუსტიციის სამინისტროდან, რაც დღეს ძალიან მწირი ოდენობით მოეწოდება და უწყება მოტივად ასახელებს მონაცემთა დაცვის საფუძვლებს. სახალხო დამცველის აპარატს კარგი ურთიერთობა აქვს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან, არასოდეს მსგავს ფაქტს მათთან ურთიერთობაში ადგილი არ ქონია და იმედს გამოთქვამს ომბუდსმენი, რომ იუსტიციის სამინისტრო შეიცვლის დამოკიდებულებას.

<u>ქეთევან სარაჯიშვილი, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო</u>

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს კარგი თანამშრომლობა აკავშირებს სახალხო დამცველის აპარატთან და საუკეთესო გამოხატულებაა აქტიური ჩართულობა უწყებათაშორის საბჭოსა და კომისიებში. ომბუდსმენის რეკომენდაციები განხილული იქნა პარლამენტში და ჩვენ ვაგრძელებთ კონსტრუქციულ თანამშრომლობას. იანვრის მდგომარეობით, სახელმწიფო ინსპექტორის აპარატმა დაასკვნა, რომ იუსტიციის სამინისტროს ქონდა სამართლებრივი საფუძველი ჩაეწერა შეხვედრა, დაეარქივებინა და გაესაჯაროებინა ვიდეო ასევე საქართველოს პარლამენტში.

<u>რიჩარდ ტიბელს, ევროკავშირის საგარეო ქმედებათა სამსახური</u>

ჩვენ დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ სახალხო დამცველის და მისი აპარატის დამოუკიდებლობას და მნიშვნელოვანია ორგანიაციამ იმუშაოს სრული კომეტენციის ფარგლებში კონფინდენციალობის დაცვით. გადავდივართ მესამე საკითხზე ადამიანის უფლებები ოკუპირებულ ტერიტორიებში

3. *ადამიანის უფლებების მდგომარეობა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებში, იძულებით გადადგილებულ პირთა უფლებების ჩათვლით*

<u>ვახტანგ მახარობლიშვილი, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო</u>

ადამიანის უფლებები ოკუპირებულ ტერიტორიებში წარმოადგენს საქართველოს მთავრობის ერთ-ერთ უმაღლეს პრიორიტეტს, ერთ-ერთი მთავარი პრობლემა არის გარემოება, რომ საერთაშორისო დამკვირვებლები არ იმყოფებიან ტერიტორიაზე, ვინც ადგილზე ადამიანის უფლებების მდგომარეობის მონიტორინგს შეძლებდნენ.

ადამიანის უფლებების და ჰუმანიტარული მდგომარეობა უარესდება ოკუპირებულ ტერიტორიებში. მათ შორის პანდემიის პერიოდში - სანამ მსოფლიო ერთიანდებოდა პანდემიასთან საბრძოლველად, რუსეთი აქტიურად ქმნიდა ახალ და ძველ ბარიერებს. ბორდერიზაცია ასევე პრობლემას წარმოადგენდა პანდემიის პერიოდში - დაახლოებით 14 სოფელში იქნა გავლებული მავთულხლართები, რამაც დამატებითი პრობლემები შეუქმნა მშვიდობიან მოსახლეობას ვინაიდან დაკარგეს წვდომა სოფლის მეურნეობის მიწებზე და საკუთარ სახლ-კარზე. ეთნიკურად ქართველი მოქალაქე ჯუმბერ მელაძე გარდაიცვალა, ვინაიდან საოკუპაციო რეჟიმის წარმომადგენლებმა არ დაუშვებს სასწრაფო დახმარების მანქანას გადაეკვეთა საოკუპაციო ხაზი და მსგავსი სიტუაციების 14 შემთხვევა ფიქსირდება 2019 წლის სექტემბრიდან. გრძელდება ადამიანის უფლებების დარღვევები - სიცოცხლის უფლება, თავისუფლების უფლება - კვლავ პრობლემატურია გატაცებების და დაკავების შემთხვევები, წამება და არაადამიანური მოპყრობა, განათლების უფლება - შეზღუდვებია მშობლიურ ენაზე განათლების მიღებაზე. კვლავ აღსანიშნავია ეთნიკური ქართველების მკვლელობის ფაქტები საოკუპაციო ძალების მიერ - ოთხოზორია, ტატუნაშვილი, ბაშარული, კვარაცხელია. ადამიანები, ვინც ჩაიდინეს აღნიშნული დანაშაული კვლავ თავისუფალი არიან, რაც დაუსჯელობის სინდრომს ამკვიდრებს. ეთნიკური ქართველები თავს უცხოელებად გრძნობენ ოკუპირებულ ტერიტორიებში - იმ შემთხვევაშიც თუ იძულებით შეიცვლიან გვარს, მათი უფლებრივი მდგომარეობა არ უმჯობესდება. რუსული ფსბ ოფისები ოკუპირებულ ტერიტორიებში აშინებენ ეთნიკურად ქართველ სტუდენტებს, ვინც წარსულში საქართველოში სწავლობდნენ, რომ არ გააგრძელონ სწავლა ქართულ საგანმანათლებლო სასწავლებლებში. უპრეცედენტო შემთხვევა იყო EUMM-ის წარმომადგენლის მოტაცება, რაც წარმოაჩენს საერთაშორისო დამკვირვებლების მიმართ ნეგატიური დამოკიდებულებას. ეთნიკური წმენდა ქართველების მიმართ გრძელდება და ადეკვატურად უნდა იქნას შეფასებული საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ.

ჰიბრიდული ომი ასევე უნდა იქნას ნახსენები, რომელსაც რუსეთი აქტიურად იყენებს და დეზინფორმაციის შემთხვევები, რაც ასევე მოიცავს ლუგარის ლაბორატორიის მისამართით შეტევებს, რომელიც უმნიშვნელოვანესია კოვიდ-19-თან ბრძოლის პროცესში. დეზინფორმაციის სხვადასხვა მაგალითი მოიცავს ოსების გენოციდს საქართველოს მიერ, რაც შემაშფოთებელია, ვინაიდან მცდელობაა ისტორიის გადაკეთების. გთხოვთ შეინარჩუნოთ რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის საკითხი პრიორიტეტებში თქვენს დღის წესრიგში - PSC ფორმატში, FAC ფორმატში, ვინაიდან რუსეთი აქტიურად ადევნებს თვალს თუ რაოდენ ყურადღება ეთმობა საქართველოს. ასევე გთხოვთ შეინარჩუნოთ საქართველო სასაუბროებში მაღალი დონის შეხვედრებისას რუსეთთან. ევროკავშირის ძლიერი ლიდერის როლი ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებში ძალიან მნიშვნელოვანია და გვინდა წარმოვაჩინოთ ინიციატივა შეიქმნას სამუშაო ჯგუფების ფორმატი კონკრეტული თემებით: გადაადგილების თავისუფლება, ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების იმპლემენტაცია. შემზღუდველი ზომები მნიშვნელოვანია და ასევე სია, რომელიც საქართველოს პარლამენტმა მიიღო, რათა შემდგომ ადამიანის უფლებების დარღვევები იქნას თავიდან აცილებული, ისევე როგორც დაუსჯელობა. გასულ წელს მოგეხსენებათ იყო ევროპარლმენტის რეზოლუცია, რომელიც მოუწოდებდა ევროკავშირის ინსტიტუტებს შეიმუშაონ ახალი შემზღუდველი ზომები ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით. ევროკავშირის გლობალური ადამიანის უფლებების სანქციების რეჟიმს რაც შეეხება, ძალიან ყურადღებით ვადევნებთ თვალს ამ ინიციატივას და იმედი გვაქვს საქართველოც განხილული იქნება, აქვე გთხოვთ თქვენს რეკომენდაციებს, თუ როგორ წავწიოთ წინ ეს საკითხი. ევროკავშირი დიალოგისთვის - მივესალმებით ამ ინიციატივას და იმედი გვაქვს მეტი პროექტები იქნება მომავალში. მშვიდობის ინიციატივას „ნაბიჯი უკეთესი მომავლისათვის“ ესაჭიროება დამატებით საერთაშორისო მხარდაჭერა, რათა იმპლემენტაცია განხორციელდეს, ვინაიდან დიდი დაინტერესება გამოიწვია ოკუპირებულ ტერიტორიებში.

<u>თამარ ქოჩორაძე, სახელმწიფო მინისტრის აპარატი შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში</u>

აფხაზეთის რეზიდენტები ამჟამად იძულებული არიან მონაწილეობა მიიღონ რეფერენდუმში, რომელიც ვლადიმერ პუტინის პრეზიდენტობის ვადის გახანგრძლივებას შეეხება, ისევე როგორც იგივე აიძულეს ცხინვალის რეზიდენტებს 2020 წლის ივნისში. ეს მაგალითები ნათლად წარმოაჩენს, თუ როგორ ცდილობს რუსეთი ტერიტორიების ანექსიას.

ადამიანის უფლებების დარღვევები გრძელდება ოკუპირებულ ტერიტორიებში. პანდემიის პერიოდში პირველივე დღეებიდან საქართველო პრემიერ-მინისტრმა და პრეზიდენტმა გამოთქვეს დახმარების მზადყოფნა, რომ უყურადღებოდა არავინ დარჩენილიყო ოკუპირებულ ტერიტორიებში. გატარებული იქნა კონკრეტული ზომები - ინფორმაციის გაზიარება პრევენციული ზომების შესახებ, რაც გადაითარგმნა ადგილობრივ ენებზე, ოფიციალური გვერდი კოვიდ-19-ის შესახებ ხელმისაწვდომი იყო ოკუპირებული ტერიტორიების ენებზე, დაავადებათა კონტროლის ცენტრის ოქმები გადაითარგმნა და გადაეგზავნათ კოლეგებს ოკუპირებულ ტერიტორიებში. ასევე დახმარება აღმოეჩინა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მისიას, რომელსაც უნდა შეეფასებინა სიტუაცია აფხაზეთში და გაეცა რეკომენდაციები. საქართველოს დაავადებათა კონტროლის ცენტრი მართავდა ონლაინ კონსულტაციებს ექიმებთან ოკუპირებულ ტერიტორიებში, რათა გაეზიარებინათ გამოცდილება კოვიდ-19-ის მკურნალობის მეთოდების შესახებ. აფზახეთმა ისარგებლა საქართველოს მთავრობის დახმარებით, 800-ზე მეტმა ოჯახმა, რომლებიც გამყოფ ხაზთან ცხოვრობენ მიიღეს სახელმწიფო დახმარება. დახმარება აღმოეჩინათ აფხაზ სტუდენტებს ვინც ვერ დაბრუნდნენ აფხაზეთში გამშვები პუნქტების ჩაკეტვის გამო - განათლების სამინისტრომ შექმნა სპეციალური პროგრამა, რომ უზრუნველყოფილი ყოფილიყო მათი საცხოვრებელი და საკვები. რუხის საავადმყოფოში, რომელიც შეიქმნა, რომ ოკუპირებული ტერიტორიებიდან მიეღო პაციენტები, მომსახურება გაეწია დაახლოებით 250 ადამიანს მარტის თვიდან და გრძელდებოდა სახელმწიფო დაფინანსებული პროგრამები. ცხინვალის ბინადრებს არ ქონდათ წვდომა ჯანდაცვაზე საქართველოში და ჯერ კიდევ არ აქვთ. ასევე არ შეჩერებულა აფხაზეთის რეგიონში სამედიცინო მედიკამენტების მომარაგება.

განათლების უფლებასთან დაკავშირებით საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით ყველა სტუდენტი რეგისტრიებული ოკუპირებული ტერიტორიებიდან მიღებული იქნა ქართულ უნივერსიტეტებში გამოცდების გარეშე, რაც ასევე „მშვიდობის ინიციატივის“ პროგრამის ნაწილია. ბავშვთა უფლებებთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ ოკუპირებულ ტერიტორიებზე ბავშვებს ხშირად რთავენ საბჭოთა ტიპის ღონისძიებებში, ასევე სამხედრო ღონისძიებებში. პიონერული ტიპის დღესასწაულებში ბავშვებს უწევთ მონაწილეობის მიღება. ინიციატივამ „ნაბიჯი უკეთესი მომავალისათვის“ პანდემიის გავლენა განიცადა, თუმცა თებერვალში ტექნიკური დახმარების პროგრამის თანახმად მშვიდობის ფონდი ოპერაციული გახდება 2020 წლის სექტემბრიდან. გადაწყვეტილება იქნა მიღებული გაგრძელდეს ფინანსური ინსტრუმენტი „Enterprise Georgia” და დაფინანსდეს 20 პროექტი წელს. მნიშვნელოანია საერთაშორისო თანამეგობრობის და განსაკუთრებით ევროკავშირის მხარდაჭერა საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებული პროექტებისთვის.

დავით ფეიქრიშვილი, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

საქართველოს ყავს ერთ-ერთი ყველაზე მრავალრიცხოვანი მოსახლეობა იძულებით გადაადგილებული პირების, უმეტესობა მათგანი იძულებით გადაადგილდა 90-იან წლებში, თუმცა მაინც განიცდის ინტეგრაციის პრობლემებს. მთავარი პრობლემა არის - დასაქმება, საცხოვრებელი პირობები და სოციალური დახმარება. უმუშევრობის მაჩვენებელი ორმაგია მათ შორის, ვიდრე საქართველოს ზოგად მოსახლეობაში. სოციალური დახმარება - იძულებით გადაადგილებული პირები სარგებლობენ განსაკუთრებული პროგრამებით, რომლითაც 7000-ზე მეტმა ოჯახმა

ისარგებლა. პანდემიის პერიოდში 2000-ზე მეტ ოჯახს აღმოეჩინა დახმარება საკვებით და ჰიგიენის ნივთებით. საცხოვრებელი სივრცე გადაეცა 2000 ოჯახს გასული წლიდან. კოლექტიური ცენტრები, ჯამში 31 დახურული იქნა და მთავრობა აგრძელებს საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფას. ამჟამად 55 ოჯახი ჯერ კიდევ ელის საცხოვრებელ ფართს, ვინაიდან საქართველო ლიმიტირებული ბიუჯეტის გამო ვერ ახერხებს ყველას ერთდროულად საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფას, რაშიც აქტიურად გვეხმარება გერმანიის და საფრანგეთის მთავრობა, წარსულში ევროკავშირიც გულუხვად იღებდა მონაწილეობას. სამომავლოდ იმედია იქნება ევროკავშირის დახმარების პაკეტი იძულებით გადაადგილებული პირებისთვის. პანდემიის პერიოდში იძულებით გადაადგილებული პირების საცხოვრებელ ფართებს რეგულარულად უტარდებოდა დეზინფექცია.

<u>თამარ აბაზაძე, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი</u>

სახალხო დამცველი განსაკუთრებული ინტერესით აკვირდება იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებებს, ისევე როგორც ოკუპირებულ ტერიტორიებში მყოფი პირების, რომლის შესახებაც დეტალები ომბუდსმენის წლიურ ანგარიშში აისახება. როგორც უკვე იქნა აღნიშნული - ნამდვილად საქართველოში უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხულ სტუდენტებზე ოკუპირებული ტერიტორიებიდან ხორციელდებოდა ზეწოლა და არაერთხელ. ახალგაზრდებს მოუწოდებდა საოკუპაციო რეჟიმი არ გადაეკვეთათ გამშვები პუნქტი და თუ წავიდოდნენ თბილისში, დაბრუნება აეკრძალებოდათ. ბავშვები ფსიქოლოგიური წნეხის ქვეშ არიან კვლავინდებურად - სკოლებში სრულიად აკრძალულია ქართულ ენაზე განათლების მიღება და მხოლოდ რამოდენიმე სკოლაში ისწავლება ქართული, როგორც უცხო ენა. ვინაიდან მშობლიურ ენაზე განათლება აიკრძალა, საქართველოს გეოგრაფიის და ისტორიის სწავლება აკრძალულია გალის რეგიონში და სანაცვლოდ ბავშვები სწავლობენ რუსეთის გეოგრაფიას და ისტორიას. სასკოლო ბიბლიოთეკებში ასევე იკრძალება ქართულენოვანი ლიტერატურის ქონა. 2019 წელს ხელოვნური შეზღუდვების გამო, ენგურის გამშვები პუნქტი დაიკეტა და სტუდენტები, ვინც მოდიოდნენ საქართველოში უმაღლესი განათლების მისაღებად არ მიეცათ გამოცდებში მონაწილეობის უფლება. ჯანდაცვის უფლებასთან დაკავშირებით - დაბალი ხარისხის ინფრასტრუქტურა, დაბალი ხარისხის სამედიცინო პერსონალი და სერვისების არარსებობა პრობლემაა. შესაბამისად ბევრმა სცადა ჯანდაცვის სერვისების მიღება ოკუპირებული ტერიტორიების გარეთ და ამ მხრივ უმნიშვნელოვანესია საქართველოს ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამა. მას შემდეგ, რაც ახალგორის გამშვები პუნქტი ჩაიკეტა, გართულდა სამედიცინო დახმარების მიწოდება ოკუპირებულ ტერიტორიებში, ხალხს არ ქონდა წვდომა ჯანდაცვის სერვისებზე და ზოგი გარდაიცვალა კიდეც აღნიშნულის შედეგად.

<u>რიჩარდ ტიბელს, ევროკავშირის საგარეო ქმედებათა სამსახური</u>

კიდევ ერთხელ ავღნიშნავ ევროკავშირის მხარდაჭერას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მიმართ და მზად ვართ დაგეხმაროთ კონფლიქტის მშვიდობიან მოგვარებაში. გეთანხმებით, რომ ადამიანის უფლებების მდგომარეობა გაუარესდა ეთნიკური ქართველებისთვის პანდემიის პერიოდში. მივესალმებით თბილისის ძალისხმევას აღმოუჩინოს დახმარება ოკუპაციის ხაზის მიღმა და ვწუხვართ, რომ ცხინვალის რეგიონმა დადებითად არ უპასუხა შეთავაზებას. მხედველობაში ვიღებთ, რომ ბორდერიზაცია მიმდინარე პროცესი იყო კორონავირუსის პანდემიის პერიოდშიც და ეს ძალიან შემაწუხებელია. EUMM და ევროკავშირის დელეგაცია ადგილზე აქტიურად მუშაობს და ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენელი მაქსიმალურად ცდილობს მოლაპარაკების არხები ღია შეინარჩუნოს, მოგეხსენებათ ტოივო კლაარი თბილისშია ეს კვირა. ვიზიარებთ თქვენს ხედვას, რომ ადამიანის უფლებების მონიტორინგი მნიშვნელოვანია ოკუპირებულ ტერიტორიებში და კვლავ ხაზს ვუსვავთ საერთაშორისო ორგანიზაციების ადგილზე ყოფნის აუცილებლობას. 22 ივლისს მოგეხსენებათ გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭომ მიიღო რეზოლუცია და ევროკავშირი მხარს უჭერდა. მივესალმებით პროგრამას „ნაბიჯი უკეთესი მომავლისათვის“ და ველით ახალ მინისტრთან მუშაობას.

იძულებით გადაადგილებულ პირებთან დაკავშირებით, ჩვენი წუხილები თქვენთვის კარგად ნაცნობია - წვდომა სოციალურ სერვისებზე, ნებაყოფლობითი დაბრუნების უფლება, დაკარგული საკუთრების კომპენსაცია, ასევე გვაწუხებს მდგრადი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის საკითხი და სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაცია. საერთაშრისო თანამეგობრობამ მოგეხსენებათ მოგიწოდათ გადახვიდეთ სტატუსზე დაფუძნებული საჭიროებების სისტემიდან კონკრეტული არსებული საჭიროებების სისტემაზე და ჩვენ გვაინტერესებს რა ეტაპზეა საქართველო ამ პროცესში. მხარს ვუჭერთ თქვენს სამუშაოს და ვიზიარებთ წუხილს დაკარგულ ადამიანებთან დაკავშირებით. საქართველოს მოვუწოდებთ ყავდეს კომისარი დაკარგული პიროვნებებისთვის, რათა იყოს კოორდინირებული სახელმწიფო მექანიზმი. ნახსენები იქნა ევროკავშირის საქნციების რეჟიმი - დისკუსიები მიმდინარეობს ევროკავშირის საბჭოში, ჯერ არ არის ცნობილი შედეგები. სანქციების რეჟიმი ამჟამად მოითხოვს ხმის მიცემისას ერთსულოვნებას ევროკავშირის წევრი ქვეყნებისგან. FAC-ზე მწვანე შუქი მიეცა საკითხზე ტექნიკურ მუშაობას რაც ამჟამად მიმდინარეობის პროცესშია.

<u>ჰანე გოტფრიდი, ევროკავშირის განსაკუთრებული წარმომადგენლის ოფისი თბილისში</u>

ტოივო კლაარი თბილისში იმყოფება და ძალიან დატვირთული პროგრამა აქვს. დიალოგში მონაწილეობას ვიღებ როგორც ახალი უფროსი EUSR-ის რეგიონული ოფისის. ჩვენ სრულიად ვიზიარებთ საქართველოს მთავრობის წუხილებს ადამიანის უფლებების შესახებ ოკუპირებულ ტერიტორიებში. ამჟამად მთავარი საზრუნავია ხალხის მოწყვლადი ჯუფები, რომელთაც საზღვის მიღმა ესაჭიროებათ სამედიცინო დახმარება, ისევე როგორც განათლების მიღება. EUSR ხშირ კონტაქტშია ადგილობრივ დე-ფაქტო რეჟიმთან და მოუწოდებს გაიხსნას გამშვები პუქტები, თუმცა არ ჩქარობენ, ვინაიდან ოფიციალურ მოსკოვს საკითხის მოგვარებაში ჩართულობის ინტერესი არ აქვს. აუცილებელია გაიმართოს ფიზიკური შეხვედრა ჟენევის მოლაპარაკებების ფარგლებში რაც შეიძლება მალე და ფოკუსი გაკეთდეს ჰუმანიტარულ საჭიროებებზე, რაც ჟენევის მოლაპარაკებების ერთ-ერთი მთავარი საკითხია და აუცილებელია შესრულდეს. მოლაპარაკებებისას ასევე უნდა გადამოწმდეს რამდენად მეტად ეთანხმებიან საქართველოს არაღიარების პოლიტიკას ოკუპირებული ტერიტორიების დე-ფაქტო წარმომადგენლები, ვინაიდან არის ნიშნები ამ მიმართულებით ახალი განვითარებების. სოხუმიდან არის სიგნალები, რომ ევროკავშირის ოფიციალური წარმომადგენლების პასპორტებში შტამპი აღარ დაფიქსირდებოდა, თუმცა დეტალურად განსახილველი საკითხია.

<u>მიხაელ ფორტიჩი, ევროკომისია, DG NEAR</u>

არსებული შეზღუდვების გამო ბევრის გაკეთება ვერ ხერხდება ოკუპირებულ ტერიტორიებში ჩვენი მხიდან. შესაბამისად არ გვაქვს აქტივობა სამხრეთ ოსეთში, თუნდაც ჰუმანიტარული საჭიროებების გამო. ევროკავშირის სამეზობლოს ინსტრუმენტის მეშვეობით 4 სხვადასხვა პროგრამა განხორციელდა სამოქალაქო საზოგადოებისთვის, სოციალური და საგანმანათლებლო საკითხებთან დაკავშირებით, პროგრამა შემუშავდა რომელიც წვდომას უმარტივებს ძირითად მომსახურებებზე რეგიონებში მცხოვრებ მოსახლეობას, ასევე პროფესიული გადამზადების სხვადსხვა პროგრამა არსებობს. DG NEAR სწავლობს კონფლიქტს აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონში, არა მხოლოდ საქართველოში და მხარს უჭერს გარემოს შექმნას დაძაბულობის უკეთესი განმუხტვისთვის, კონკრეტული სექტორების გაუმჯობესებით, გაცვლითი პროგრამებით განათლებისა და კულტურის სფეროში.

4. არჩევნები და საარჩევნო კანონმდებლობა

<u>ნიკოლოზ სამხარაძე, საქართველოს პარლამენტი</u>

საქართველოს პარლამენტი მოხარულია, რომ იმპელემენტაცია განხორციელდა არაერთი საკანონმდებლო პაკეტის. ერთ-ერთი მათ შორის იყო სასამართლო რეფორმის მეოთხე ტალღა და სხვა საკონსტიტუციო რეფორმები. პარლამენტის პროცედურის წესების რეფორმა დასრულდა 2018 წლის ბოლოს და საარჩევნო რეფორმა დასრულდება ამ კვირაში. პარლამენტმა ასევე მიიღო ბავშვთა

უფლებათა კოდექსი, სატყეო კოდექსი და მალე იმედია სამუშაო დასრულდება შრომის კოდექსის პაკეტზე. საკონსტიტუციო რეფორმა იყო ყველაზე დიდი რეფორმა 1990-იანების შემდეგ, ამჟამინდელი საკანონმდებლო ცვლილებებით საარჩევნო სისტემა შემდეგი სახის იქნება: პარლამენტის 120 წევრი აირჩევა პარტიის სიით, 30 წევრი აირჩევა მაჟორიტარული სიით. წარსულში 77 და 73 იყო დანაწილების პრინციპი. კონსტიტუციამ ასევე განსაზღვრა არჩევნების თარიღი - ბოლო შაბათი დღე ოქტომბრის თვის. მომავალი არჩევნების ბარიერი და ასევე სხვა მომავალი არჩევნებისა 2024 წლამდე არის 1% - შესაბამისად, 1%-ს რომელიც პარტიაც გადაცდება შეუძლია ყავდეს წარმომადგენელი პარლამენტში. 29 ივლისს განხორციელდა საბოლოო ხმის მიცემა საკონსტიტუციო ცვლილებებზე, სამწუხაროდ ორმა ოპოზიციურმა პარტიამ - „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და „ევროპული საქართველო“ არ დაუჭირეს მხარი ცვლილებებს და ხმის მიცემის პროცედურაში მონაწილეობაზე უარი თქვეს. თუმცა საკონსტიტუციო ცვლილებები მიღებული იქნა 92 ხმით, რომელიც შედგებოდა „ქართული ოცნების“, „პატრიოტთა ალიანსის“ წევრების ნაწილის და დამოუკიდებელი წევრების ხმების შედეგად.

საარჩევნო რეფორმას საფუძვლად უდევს 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისას ODHIR-ის საბოლოო ანგარიშში ჩამოთვლილი რიგი რეკომენდაციები, რაც გააუმჯობესებდა საქართველოს საარჩევნო სისტემას. საქართველოს პარლამენტის სპიკერსი ლიდერობით, სამუშაო ჯგუფი შეიქმნა ყველა პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლებისგან დაკომპლექტებული, საკონსტიტუციო ორგანოების წარმომადგენლებით, დიპლომატიური კორპუსის ჩართულობით, სამოქალაქო საზოგადოების და საერთაშორისო ორგანიზაციების, რომლებმაც ჩართეს ექსპერტები სამუშაო პროცესში. 2019 წლის ივლისიდან მრავალი საკონსულტაციო შეხვედრა გაიმართა. სამუშაო ჯგუფი შედგებოდა 75 წევრისგან, თუმცა პანდემიის პერიოდში შემცირდა ოდენობა. გაიმართა 5 ონლაინ კონსულტაცია. საკანონმდებლო პაკეტის პირველი მოსმენა გაიმართა 1 ივლისს. მთავარი საკითხებია - საარჩევნო ადმინისტრაციის სემადგენლობა, მედია კამპანია და უფასო საეთერო დრო, ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების პრევენცია, არჩევნების მეორე რაუნდის წესები, ამომრჩეველთა მოსყიდვის პრევენცია, გენდერული კვოტა, დავების მოგვარების მექანიზმები, ისევე როგორც კოვიდ-19-თან დაკავშირებული სპეციალური ზომები. დამატებით, ასევე პოლიტიკური პარტიების დაფინანსების საკითხი. სულ იყო ODHIR-ის 27 რეკომენდაცია და გათვალისწინებული იქნა სრულად ან ნაწილობრივ 25 რეკომენდაცია. ორი რეკომენდაცია, რომელიც არ იქნა გათვალისწინებული: 1. ეხებოდა სიძულვილით მოტივირებულ მოწოდებებს, რომლის აკრძალვის შეტანა საარჩევნო კოდექსში არ იქნა მიჩნეული ყველაზე ოპტიმალურ საშუალებად. 2. არჩევნების ჩატარება ფსიქიატრიულ დაწესებულებებში, რომელიც არ იქნა გაზიარებული სამუშაო ჯგუფის უმეტესობის მიერ. ამომრჩევლის მოსყიდვა კრიმინალიზებული გახდა ნებისმიერი თანხის ოდენობიდან, წარსულში კი მხოლოდ 100 ლარიდან იყო დანაშაული. არჩევნების მეორე რაუნდის თარიღიც განისაზღვრა - მესამე კვირა პირველი რაუნდის შემდგომ. ცვლილებების შემდეგომ სამართლიანი განაწილების პრინციპით დანაწილდება საეთერო დრო, თანაბარი თითქმის ყველა პოლიტიკური პარტიისთვის. ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება პრობლემატური იყო ზოგ რეგიონში - ახალი კანონმდებლობა უკრძალავს სკოლების მასწავლებლებს, საჯარო მოხელეებს მიიღონ მონაწილეობა საარჩევნო კამპანიაში სამუშაო საათების დროს. სოციალური მედიის გამოყენება პოლიტიკური კამპანიისთვის საჯარო მოხელეების მიერ სამუშაო დროის გამოყენება ასევე იკრძალება. წარმოდგენილი იქნა გენდერული კვოტები - ყოველი მეოთხე წევრი პოლიტიკურ პარტიაში უნდა იყოს ქალი, ხოლო თუ ყოველი მესამე იქნება ქალი - პარტია დამატებით სახელმწიფო დაფინანსებას მიიღებს საპარლამენტო არჩევნებისასა. ეს გახლავთ გარდამავალი ნორმა კონსტიტუციაში 2032 წლამდე. დეტალურად დარეგულირდა ასევე პოლიტიკური პარტიების დაფინანსება - გაუმჯობესდა გამჭვირვალეობა და გაიზარდა ჯარიმები შეწირულობების დამალვის შესახებ. ამავდროულად კოვიდ-19-ის შესახებ იქნა ზომები გათვალისწინებული - საქართველო ერთ-ერთი ყველაზე უსაფრთხო ქვეყანაა, თუმცა არსებული რისკებიდან გამომდინარე, გათვალისწინებული იქნა პანდემიის პრევენციული ზომები. ამჟამად მეორე მოსმენით გასვლისთვის საარჩევნო კოდექსის პაკეტი მზადაა, თუმცა მთავარი დაბრკოლება გახლავთ ფართო

მხარდაჭერის მობილიზება გენდერულ კვოტებზე, ვინაიდან ოპოზიციურ პარტიებს საჯაროდ აქვთ დაფიქსირებული, რომ არ უჭერენ მხარს გენდერულ კვოტას, ამავდროულად შეუძლებელია პაკეტის ორ ნაწილად გაყოფა, რომ გენდერული თანასწორობის კვოტას ცალკე მიეცეს ხმა. მეორე მოსმენით განხილვა ჩანიშნულია დღეს შუადღისას.

<u>გიორგი კალანდარიშვილი, ცენტრალური საარჩევნო კომისია</u>

ეუთოს რეკომენდაციები ჩვენთვის კარგი გზამკვლევია. რეკომენდაციებს შორის მხოლოდ რამოდენიმე არის ცენტრალური საარჩევნო კომისიის კომპეტენციაში. წარსულში შემოტანილი საჩივრების ანალიზი გაკეთდა გასული არჩევნებიდან და პოზიტიური დინამიკა შეიმჩნევა, რომ ხარისხი საჩივრების გაუმჯობესებულია. ვთანამშრომლობთ ევროპის საბჭოსთან, ტრეინინგები დაგეგმილია ცენტრალური საარჩევნო კომისიის თანამშრომლებისთვის არჩევნებამდე. დაგეგმილია ცნობადობის ამაღლების კამპანიები, რათა რაც შეიძლება მეტ ამომრჩეველს მივაწვდინოთ ინფორმაცია. კომისია მიყვება სტრატეგიულ სამოქმედო გეგმას, რომელსაც 5 მთავარი კომპონენტი აქვს: საარჩევნო განათლება, საარჩევნო უსაფრთხოება, საარჩევნო სერვისები და ტექნოლოგია, ინკლუზიური საარჩევნო გარემო, ეფექტური მენეჯმენტი და ინსტიტუციური გაძლიერება. ცენტრალურ საარჩევნო კომისიას აქვს ონლაინ რეგისტრაციის პლაფრომები საარჩევნო პროცესის ყველა მონაწილეებისთვის. ონლაინ სერვისებმა ჩაანაცვლა დოკუმენტების ორიგინალებად წარმოდგენის პროცედურა. დეტალურად გაიწერა კოვიდ-19-თან დაკავშირებული ზომები და საჭირო ინფრასტრუქტურა, რათა ხალხი დაცული იქნას მაქსიმალურად. ამავდროულად საქართველოს პარლამენტში შექმნილია სამუშაო ჯგუფი საფრთხო საარჩევნო გარემოს უზრუნველსაყოფად 2020 წლის არჩევნებში.

<u>რიჩარდ ტიბელს, ევროკავშირის საგარეო ქმედებათა სამსახური</u>

2018 წლის საპრეზიდენტო და ადგილობრივი არჩევნები მიჩნეული იქნა იმედგაცრუებად საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ, თუმცა წინა არჩევნები წარმატებული იყო. სამწუხაროდ 2018-ში გამოვლინდა რიგი ხარვეზები და მნიშვნელოვანი პოლიტიკური პოლარიზაცია. მოხარული ვართ, რომ რელევანტური უწყებები სერიოზულად ეკიდებიან ODHIR-ის რეკომენდაციებს და აქტიურად მუშაობენ მათ გასათვალისწინებლად. იმედი გვაქვს საარჩევნო კანონმდებლობაში ცვლილებები კარგ ბაზისს შექმნის ეფექტური საპარლამენტო არჩევნებისთვის ოქტომბერში. გვესმის, რომ ცვლილებების შესახებ პირველი მოსმენა იყო გუშინ, იმედი გვაქვს სამუშაო პროცესი საშუალებას იძლევა, რომ ყველა საკითხი იქნას სათანადოდ განხილული. დრო ლიმიტირებულია, სიჩქარე მნიშვნელოვანია, თუმცა ამბიციის დონეც შესაბამისი უნდა იყოს. იმედი გვაქვს სათანადო ცვლილებები შევა საარჩევნო კამპანიის გარემოსთან დაკავშირებით, რათა აცილებული იქნას ზეწოლა ამომრჩევლებზე, სათანადო ყურადღება გამახვილდება ადმინისტრაციული რესურსების არასწორ გამოყენებაზე, საჯარო მოხელეების მიერ კამპანიისას აქტივობის შესახებ, შესაბამისი დავების მოგვარების მექანიზმი იქნება გათვალისწინებული. მივესალმებით დამატებით ზომებს, რომელიც მიზნად ისახავს ქალთა პოლიტიკური აქტივობის გაზრდას პოლიტიკაში. ასევე გულმოდგინედ დავაკვირდებით საარჩევნო კამპანიის დაფინანსების საკითხს, იმედი გვაქვს მსგავსი ზომები გატარდება უმცირესობების წარმომადგენლების მიმართაც, რათა გაიზარდოს მათი წარმომადგენლობა პოლიტიკაში. მივესალმებით, რომ კოვიდ-19 გათვალისწინებულია საარჩევნო პროცესის დაგეგმარებისას. ბალანსია საჭრო უსაფრთხო არჩევნებსა და მაქსიმალურად ნორმალური ხმისმიცემის პროცედურის შესანარჩუნებლად, მიღებული ზომები უნდა იყოს საჯაროდ მისაღები და გამართლებული.

საარჩევნო კანონმდებლობაში ცვლილებებთან დაკავშირებით სისწრაფე კარგია, თუმცა სათანადო საპარალმენტო დებატებიც აუცილებელია, ასევე უნდა შემცირდეს პოლიტიკური პოლარიზაცია. ჩვენ ვიცით, რომ საქართველო აქტიური პოლიტიკუი დებატების ქვეყანაა, თუმცა პოლიტიკური პოლარიზაცია ბოლო წლების საზიანო იყო საქართველოსთვის. იმედს გამოვთქვამთ, რომ

ცვლილებები პოლიტიკურ პარტიათა ფართო მხარდაჭერის შედეგად იქნება მიღებული, რათა არჩევნებმა წარმატებულად ჩაიაროს.

<u>ვახტანგ მახარობლიშვილი, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო</u>

სისწრაფე არა მხოლოდ კარგია, არამედ ამ შემთხვევაში კრიტიკული მნიშვნელობისაა. საკანონმდებლო ცვლილებები უნდა გატარებულიყო შეზღუდული დროის პერიოდში, რათა მოესწროს ოქტომბრის არჩევნებს. გეთანხმებით, რომ საქართველო ცნობილია აქტიური პოლიტიკური დებატებითა და განხილვებით, რომელიც მუდამ წინ უძღვის ცვლილებებს.

<u>ნიკოლოზ სამხარაძე, საქართველოს პარლამენტი</u>

ნამდვილად დროში შეზღუდულობა სახეზეა, ვინაიდან კანონში ცვლილებების შეტანა ვერ იქნებოდა ინიცირებული საკონსტიტუციო ცვლილებების მიღებამდე. საკონსტიტუციო ცვლილებები მიღებული იქნა 29 ივნისს და უნდა სწრაფად გვემოქმედა, ვინაიდან ცოტაოდენი დროა არჩევნებამდე. კონსულტაციები მიმდინარეობს უკვე ერთი წელია, ყველა პოლიტიკური პარტია ჩართული იყო და დებატების ნაკლებობა არ ყოფილა.

<u>რიჩარდ ტიბელს, ევროკავშირის საგარეო ქმედებათა სამსახური</u>

ჩვენ გვესმის კონსტიტუციიდან გამომდინარე შეზღუდვები, თუმცა მნიშვნელოვანია მაქსიმალური მხარდაჭერის მოპოვება, რომ პოლარიზაცია შემცირდეს. ჩვენი კოლგები საათების ინტერვალით მიადევნებენ თვალს მოვლენების განვითარებას.

5. მედიის თავისუფლება და პლურალიზმი

<u>რიჩარდ ტიბელს, ევროკავშირის საგარეო ქმედებათა სამსახური</u>

ჩვენ გვაწუხებს მედია საშუალებების მეპატრონეებისა და მენეჯერების მიმართ მიმდინარე გამოძიების საკითხი. ასევე შეწუხებული ვართ აჭარის ტელევიზიასთან დაკავშირებულ მოვლენათა განვითარებაზე. მოგიწოდებთ მედიის გამჭვირვალეობა იქნას უზრუნველყოფილი, როგორც მფლობელობასთან დაკავშირებით, ასევე დაფინანსებასთან. ამავდროულად ხაზს ვუსვამთ საჯარო მაუწყებლის დამოუკიდებლობის მნიშვნელობას. შეწუხებული ვართ ჟურნალისტებზე შეტევის შესახებ და მთავარი არხის ჟურნალისტი გიორგი გაბუნიას მკვლელობის მცდელობასთან დაკავშირებით - მივესალმებით გამოძიების დაწყებას და გვაინტერესებს რა ზომებს მიიღებს საქართველო ჟურნალისტების დასაცავად. თავისუფალი და ფლურალისტური მედია განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იქნება წინა საარჩევნო პერიოდში. ასევე გვინდა მოვიკითხოთ სიახლეები ინფორმაციის თავისუფლების კანონმდებლობის შესახებ. ჩვენთვის ცნობილია დეზინფორმაციის გავრცელების შესახებ, ასევე გვაინტერესებს რა ზომები მიიღება, რომ დეზინფორმაცია თავიდან იქნას აცილებული.

<u>ივანე მახარაძე, საქართველოს ეროვნული კომუნიკაციების კომისია</u>

გამარტივებული იქნა სატელევიზიო მაუწყებლობის ლიცენზირება. ადამიანს შეუძლია მოიპოვოს სატელევიზიო მაუწყებლობის ნებართვა 10 დღეში, შესაბამისად გაზრდილია სატელევიზიო არხების ოდენობა საქართველოში. 2012 წლამდე თითქმის შეუძლებელი იყო სატელევიზიო მაუწყებლობის ლიცენზიის მოპოვება და მხოლოდ 4 სატელევიზიო კომპანია მაუწყებლობდა ქვეყანაში. დღეისთვის 20-ზე მეტი არხი ფუნქციონირებს ქვეყნის მასშტაბით. არსებობს 115-ზე მეტი სატელევიზიო არხი, რაც საქართველოს მსგავსი პატარა ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი რიცხვია - მხოლოდ 50 არხი არის ზოგადი არხი, რომელიც კანონით ვალდებულია ასევე ახალგაზრდულ პროგრამებს და პოლიტიკურ ტოქ-შოუებს უმასპინძლოს. World Press Freedom-ის მიხედვით საქართველომ განიცადა პროგრესი.

თამარ აბაზაძე, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი

აჭარის ტელევიზიასთან დაკავშირებით მიმდინარე გამოძიება ქმნის შთაბეჭდილებას, რომ იგი მიზანმიმართულია კრიტიკული სარედაქციო პოლიტიკის შეცვლისკენ. აჭარის ტელევიზიის ყოფილი დირექტორი ნათია კაპანაძე აქტიურად ზრუნავდა, რომ სატელევიზიო კომპანია ყოფილიყო დაბალანსებული და მიუკერძოებელი, თუმცა იგი განთავისუფლებული იქნა. ამავდროულად ტელეკომპანიის სხვა ჟურნალისტებიც განიცდიან შევიწროვებას. ძალიან მნიშვნელოვანია ეს პროცესი შეჩერდეს, განსაკუთრებით კი არჩევნების პერიოდში. ომბუდსმენის რადარის ქვეშ რჩება ასევე აფგან მუხთარლის საქმე. სამწუხაროდ გამოძიება ამ დრომდე პროგრესს არ წარმოაჩენს. აუცილებელია ახალი კანონი, რომელიც დააფუძნებს ინფორმაციის თავისუფლების მონიტორინგის მექანიზმს.

ნიკოლოზ ჭინკორაშვილი, საქართველოს მთავარი პროკურატურა

აჭარის ტელევიზიასთან დაკავშირებით მოგახსენებთ, რომ განცხადება გაკეთდა 2019 წლის დეკემბერში პოლიციაში, რომ ადგილი ქონდა დარღვევებს აჭარის ტელევიზიის მენეჯერის მხრიდან. პროკურატურამ შეისწავლა განცხადებები და ვერ დაადგინა დანაშაულის ელემენტების არსებობა. შესაძლოა სახეზე იყო სხვა სახის დარღვევები, თუმცა არა სისხლის სამართლებრივი, შესაბამისად არ დაწყებულა გამოძიება. რაც შეეხება ბატონ გაბუნიას, დაგიდასტურებთ, რომ მიმდინარეობს გამოძიება, საგამოძიებო მოქმედებები პროცესშია, ძალიან ახალი საქმეა და მომავალში შეგვიძლია მეტ დეტალებში განხილვა.

ვახტანგ მახარობლიშვილი, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

რამოდენიმე სიტყვა სტრატეგიული კომუნიკაციების შესახებ არსებულ გამოწვევებთან დაკავშირებით, ვინაიდან რუსეთი იყენებს ჰიბრიდულ ინსტრუმენტებს, რათა სიტუაცია დაამძიმოს საქართველოში. პროპაგანდა ერთ-ერთი ხშირად გამოყენებადი ინსტრიუმენტია, ანტი-დასავლური პროპაგანდის სახით. მნიშვნელოვანია საქართველოსთვის ებრძოლოს დეზინფორმაციის კამპანიას. ევროკავშირისა და ნატოს შესახებ საინფორმაციო ცენტრი მუშაობს დეზინფორმაციის ელემენტებზე პარტნიორების დახმარებით, როგორიცაა აშშ, რომლებიც ფინანსურად მხარს უჭერენ ცენტრს. სხვადასხვა ცენტრები რეგიონებში ასევე უწევენ ორგანიზებას შეხვედრებსა და სემინარებს, ზრდიან ცნობადობას ევროკავშირის და ნატოს სარგებელის შესახებ საქართველოსთვის. ცრუ ინფორმაციასთან ბრძოლა ძალიან მნიშვნელოვანი და გამოწვევებით სავსეა საქართველოსთვის, როგორც ბევრი სხვა ქვეყნებისთვის, რაც საერთაშორისო თანამშრომლობის და მხარდაჭერის გარეშე შეუძლებელია. კარგი თანამშრომლობა გვაქვს ევროკავშირის ინსტიტუტებთან, სტრატკომთან და აშშ-ს სხვადასხვა ინსტიტუტებთან.

რიჩარდ ტიბელს, ევროკავშირის საგარეო ქმედებათა სამსახური

დეზინფორმაციის მხრივ, მედიის მხრიდან კეთილისინდისიერი პრაქტიკა მნიშვნელოვანია, ასევე არ უნდა იქნას მედია გამოყენებული ცრუ ინფორმაციის გასავრცელებლად. მედიის სფეროში განათლება მნიშვნელოვანია ამ მხრივ. აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონში ცრუ ინფორმაციასთან ბრძოლის გაძლიერებისთვის ვაძლიერებთ ევროკავშირის დელეგაციებს, შესაბამისად საქართველოში ჩვენი დელეგაცია მიიღებს მეტ ადამიანურ რესურსს და ახალი კოლეგა ამ საკითხზე სამუშაოდ ჩამოვა თბილისში 2020 წლის შემოდგომაზე.

6. უმცირესობების მდგომარეობა და ანტიდისკრიმინაციული პოლიტიკა

თინათინ ღოღელიანი, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო

მიმდინარეობს 5 წლის მანძილზე სახელმწიფო სტრატეგიის იმპლემენტაცია, უკვე ვმუშაობთ ახალი სტრატეგიის დოკუმენტზე და ვამზადებთ ასევე შეფასებას წინა დოკუმენტის. ახალი გეგმა

დაფუძნებული იქნება წინა დოკუმენტის მიერ გამოვლენილ შედეგებზე. ჩვენ გავითვალისწინებთ საუკეთესო პრაქტიკას კიდევ უფრო ეფექტური სტრატეგიისთვის, რაც დაფუძნებული იქნება რეალურ საჭიროებებსა და ინტერესებზე საქართველოში მცხოვრები უმცირესობებისთვის.

ამავდროულად გვაქვს კონკრეტული, დადებითი და ხელშესახები შედეგები. დღეის მდგომარეობით უმცირესობების წარმომადგენელი ახალგაზრდობა ქართული ენის კარგი ცოდნით ჩართულები არიან საზოგადოებაში მიმდინარე მოვლენებში აქტიურად. წარმატებით მიმდინარეობს ქართული ენის შემსწავლელი პროგრამები. ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს რეგულარულად მიეწოდებათ ინფორმაცია სახელმწიფო პროგრამებისა და სერვისების შესახებ და მათი ლიდერები ჩართული არიან ადგილობრივ საბჭოში სხვადასხვა პროგრამებზე მუშაობის პროცესში. უმაღლესი განათლების სასწავლებლებს ასევე აქვთ ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებისთვის პროგრამები, რაც საკმაო პოპულარობით სარგებლობს და ჩართულ ადამიანთა რიცხვი 2010 წლიდან 6-ჯერ გაიზარდა. პროგრამები ასევე ხელმისაწვდომია რელიგიური ლიდერებისათვის და სამხედრო ბაზებში მომსახურე პირებისთვის. ქართული ენის ცოდნა კვლავ გამოწვევად რჩება. ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა გენდერული ბალანსი, გენდერული სტერეოტიპების გადალახვა და ქალთა ეკონომიკური გაძლიერება. წვდომა მედიასა და ინფორმაციაზე მნიშვნელოვანი მიმართულებაა, ყოველდღიურად ხელმისაწვდომია ახალი ამბები უმცირესობათა ენაზე. კოვიდ-19-ის პანდემიის დაწყებიდან პირველივე დღეებში ეთნიკური უმცირესობები განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ იყვნენ, მთავრობამ მიიღო საჭირო ზომები, მათ შორის ცნობადობის ამაღლება და ინფორმაციაზე წვდომის უზრუნველყოფა. ყოველგვარი ინფორმაცია კოვიდ-19-ის შესახებ ვრცელდებოდა 6 ენაზე, და ცხელი ხაზი იყო ხელმისაწვდომი ასევე უმცირესობათა ენებზე. ნახევარი მილიონი მასალა დაიბეჭდა და მომზადდა უმცირესობათა ენაზე, ხოლო ონლაინ სწავლება ხორციელდებოდა ციფცრული სწავლის პლატფორმების მეშვეობით. საკვები და ჰიგიენის პროდუქტები მიეწოდა უმცირესობათა წარმომადგენლებს, ძალიან ვაფასებთ ჩვენი პარტნიორებისა და დონორების ჩართულობას. უმცირესობათა წარმომადგენლებმა გამოავლინეს მაღალი დონის სამოქალაქო პასუხისმგებლობა და დღესასწაულები აღნიშნეს კოვიდ-19-ის რეგულაციების დაცვით.

<u>კახა ხანდოლიშვილი, საქართველოს განათლების სამინისტრო</u>

განათლებასთან დაკავშირებით სახეზეა განსხვავებული სურათი ქალაქებსა და რეგიონებში და ვმუშაობთ, რომ ეს განსხვავებები მაქსიმალურად შემცირდეს. ამჟამად გვაქვს 207 სკოლა ეროვნული უმცირესობებისთვის და 80-ზე მეტ სკოლაში ასევე არის დამატებით უმცირესობების ენები. ტრეინინგებისთვის საჭირო მასალები, ონლაინ რესურსები ასევე ხელმისაწვდომია უმცირესობათა ენებზე. ასევე სპეციალური გაკვეთილები მიეწოდებათ სატელევიზიო პროგრამების მეშვეობით. ჩვენი მიზანია პროფესიული განათლება მიეწოდებოდეს საქართველოს რეგიონების რაც შეიძლება დიდ ნაწილს.

<u>ნინო გახარია, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო</u>

LGBTI პირთა უფლებებთან დაკავშირებით შსს-ს მიერ გაწეული საქმიანობის ფარგლებში 2019 წელს არაერთი ზომა და ღონისძიება გატარდა. ძირითადი გამოწვევა იყო დისკრიმინაციული ელემენტების გამოვლენა სხვადასხა დანაშაულებში. ჩვენი გამომძიებლებს და პოლიციის თანამშრომლებს სათანადო ტრეინინგები ჩაუტარდათ და პროცესი უწყვეტად მიმდინარეობს. დისკრიმინაციის მოტივის ამოცნობა და დაზარალებულთან ეფექტური კომუნიკაცია მთავარი მიზანია. შსს-ს ინიციატივით პასუხისმგებლობა დისკრიმინაციის მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე გამკაცრებული იქნა. ჯერ კიდევ მიმდინარეობს სტატისტიკის შეგროვება, რათა კარგი მონაცემთა ბაზა ჩამოყალიბდეს. ადამიანის უფლებების დეპარტამენტმა შეიმუშავა სპეციალური კითხვარი იმ მიზნით, რომ ამოცნობილი იქნას დისკიმინაციული მოტივი გამომძიებლების მიერ, ვინაიდან ყოველთვის აშკარა არ არის, რის შედეგადაც გამოძიებისა და პასუხისგებაში მიცემის შემთხვევები გაიზარდა. 2019 წელს 190 ადამიანს წაეყენა ბრალი

დისკრიმინაციული მოტივით ჩადენილი დანაშულისთვის, რაც გაზრდილია წინა წლებთან შედარებით - 2017 წელს 44 ადამიანი, ხოლო 2018 წელს 51 იყო ბრალდებული. ადამიანის უფლებათა დეპარტამენტმა გასულ წელს 700-ამდე საქმის მონიტორინგი განახორციელა საქართველოს მასშტაბით, გაზრდილი ოდენობით 2018 წელთან როდესაც 350 საქმის მონიტორინგი განხორციელდა. დეპარტამენტი აქტიურად თანამშრომლობს ადამიანის უფლებებზე მომუშავე ადგილობრივ ორგანიზაციებთან და რა თქმა უნდა სახალხო დამცველთან. ასევე ტარდება სამუშაო საინფორმაციო კამპანიებისა და ცნობადობის ამაღლებისთვის - თანამშრომლები აქტიურად მონაწილეობენ სატელევიზიო და რადიო შოუებში, აქტიურობენ სოციალურ მედიაში. პრიორიტეტი არის პოლიციელებში მიდგომის შეცვლა და მეტი სენსიტიურობა დისკრიმინაციული ნიშნით ჩადენილი დანაშაულისთვის. შსს-ს ყავს არაერთი დონორი და პარტნიორი - ეუთო, სახალხო დამცველის აპარატი, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები, რის შედეგადაც დღევანდელი საქართველოს პოლიცია ბევრად მეტად ადამიანის უფლებებზე ორიენტირებულია, ვიდრე წარსულში.

<u>ლაშა მჭედლიშვილი, საქართველოს მთავარი პროკურატურა</u>

სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებზე 2019 წელს 250 შემთხვევაში დაიწყო გამოძიება, ხოლო ბრალი წაეყენა 183 პირს, მათ შორის 32 ადამიანს სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისთვის LGBTI თემის წინააღმდეგ. პროკურატურის 154 თანამშრომლისთვის ჩატარდა ტრეინინგები უკეთ იდენტიფიკაციისა და საპროკურორი საქმიანობის გაუმჯობესებისთვის სიძულვილით მოტივირებული დანაშაულთან დაკავშირებით - პროკურორებისთვის, გამომძიებლებისთვის. ამჟამად პროკურატურის 71 თანამშრომელი არის სპეციალიზებული სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულთან ბრძოლაში. 2019 წელს ევროპის საბჭოს მხარდაჭერით ახალი უწყებათაშორის ტრეინინგ პროგრამა იქნა წამოწყებული ასევე აღნიშნულ სფეროში.

<u>თამარ აბაზაძე, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი</u>

სახალხო დამცველის აპარატი მიესალმება ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის გაუმჯობესებას. 2019 წლის საკანონმდებლო ცვლილებებმა ომბუდსმენს უფლება მისცა მისი მანდატი გავრცელებულიყო კერძო სამართლის იურიდიულ პირებზეც. პროგრესი თანასწორობის მისაღწევად ბრკოლდება ერთობლივი სახელმწიფო პოზიციის არარსებობის გამო. საჯარო დაწესებულებებს არ აქვთ პლიტიკა თანასწორობის სფეროში საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში. თანასწორობასთან დაკავშირებული საკითხები ასევე არ არის დღის წესრიგში მაღალი თანამდებობების პირების. გადაწყვეტილების მიმღები პირები თავს იკავებენ განცხადებების გაკეთებისაგან თანასწორობასთან დაკავშირებით, ასევე იმ დროს, როდესაც კრიტიკულად მნიშვნელოვანია. სახალხო დამცველის დაკვირვებით დისკრიმინაციას ადგილი აქვს ხშირად სტერეოტიპებისა და ცრუ წარმოდგენების გამო, რაც დომინირებს მოსახლეობაში, სახელმწიფო კი საჭიროებს მეტ ზომებს, რომ ეს პრობლემა გადაილახოს. LGBTI თემი და შშმ პირები წარმოადგენენ ყველაზე მოწყვლად ჯგუფებს. გამოწვევები ასევე რჩება რელიგიურ უმცირესობებთან დაკავშირებით. მთავარი პრობლემები კი გახლავთ: ფეხმძიმობის პერიოდში დეკრეტი, მშობიარობა და ბავშვთა მოვლა მათთვის, ვინც კერძო სექტორშია დასაქმებული, დისკრიმინაცია სქესობრივი ორიენტაციის გამო. LGBTI პირების თანასწორობის უფლება დარღვეულია თითქმის ყველა სფეროში საჯარო ცხოვრების - გამოხატვის თავისუფლება, შეკრებებისა და მანიფესტაციების უფლება ყველაზე პრობლემური საკითხებია და არსებითი პროგრესი არ არის ბოლო წლებში. სახალხო დამცველის აზრით, რელიგიური უმცირესობები ასევე არათანაბარ მდგომარეობაში არიან - მათი დაფინანსების შედარება შეუძლებელია დომინანტი რელიგიის წარმომადგენლების მდგომარეობასთან, ასევე მათი ზიანის ანაზღაურების ნაწილში.

რიჩარდ ტიბელს, ევროკავშირის საგარეო ქმედებათა სამსახური

მნიშვნელოვანია საქართველოს შექება ანტიდისკრიმინაციის სფეროში ცნობადობის ამაღლების სფეროში, განსაკუთრებით ძალოვანი ორგანოების მიერ გატარებული სამუშაო და გამოვარჩევთ შსს ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტს. ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია და ძალიან კარგ საქმეს აკეთებს დეპარტამენტი ბევრი ადამიანისთვის. ძალადობისა და ანტი-დისკრიმინაციის საკითხი LGBTI თემთან მიმართებაში ერთ-ერთი ჩვენთვის ყველაზე პრობლემური საკითხია საქართველოსთან და ივონს ვთხოვ ჩვენი შენიშვნები წარმოადგინოს, შემდგომ კი ასუნსიონი ისაუბრებს ეროვნულ უმცირესობებზე.

ივონ გოგოლ, ევროკავშირის დელეგაცია საქართველოში

ჩვენ შეწუხებული ვართ დისკრიმინაციის ინციდენტებით LGBTI თემის წარმომადგენლების მიმართ, რომელთაც ხშირად არ აქვთ სხვა გამოსავალი თუ არა დაფარონ საკუთარი გენდერული იდენტობა ან სქესობრივი ორიენტაცია. მივესალმებით თანასწორობის თავის მიღებას ადამიანის უფლებების სამოქმედო გეგმაში და ველით მის იმპლემენტაციას. შესამჩნევი იყო მთავრობის განცხადება ჰომოფობიის საერთაშორისო დღეს და მივესალმებით. საქართველოს ძალოვანმა უწყებებმა უნდა გამოიძიონ დარღვევები LGBTI თემის წარმომადგენლების მიმართ და პასუხი აგონ დამნაშავეებმა.

ასუნსიონ სანჩეს რუის, ევროკავშირის დელეგაცია საქართველოში

მრავალ კითხვაზე ქართველმა კოლეგებმა უკვე გაგვცეს პასუხი. მივესალმებით საქართველოს ძალისხმევას, რომ განათლება უზრუნველყოფილი იქნას ქართულ ენაზე უმცირესობებისთვის, ისევე როგორც მათ ენებზე. დამატებით ეფექტური იყო ინფორმაციის მიწოდება უმცირესობებისთვის. ჩვენ მოვუწოდებდით საქართველოს დამატებით განახორციელოს უმცირესობების ინტეგრაცია, გაუმჯობესოს სახელმძღვანელოები, გააფართოვოს ქართული ენის სწავლების მასშტაბები. ევროპული ქარტია უმცირესობათა ენებზე - აპირებს საქართველო ხელმოწერას და რატიფიკაციას?

ვახტანგ მახარობლიშვილი, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

ასუნსიონის კითხვასთან დაკავშირებით, მოგეხსენებათ დისკუსიები, რომელსაც რატიფიკაციის საკითხი იწვევს. აღნიშნული ქარტიის მუხლების უმეტესობა რეალურად იმპლემენტირებულია საქართველოს მიერ და ყოველდღიურად მოქმედია.

7. ადამიანის უფლებების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის იმპლემენტაცია

ა. გენდერთან დაკავშირებული საკითხები

ლელა აქიაშვილი, საქართველოს პრემიერ-მინისტრის ადმინისტრაცია

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა სამდივნოს აქვს საკოორდინაციო როლი ადამიანის უფლებათა სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის იმპლემენტაციაში. ამჟამად ადამიანის უფლებათა სტრატეგიას აქვს 23 პრიორიტეტი და ფარავს საკითხების ფართო წრეს. ყოველწლიურად მთავრობა წარმოადგენს ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმის იმპლემენტაციის ანგარიშს, კოორდინირებული სამდივნოს მიერ, თუმცა მომზადებული სხვადასხვა სამინისტროს მიერ. მონიტორინგი და შეფასება სტრატეგიის მნიშვნელოვანი კომპონენტებია. გენდერული თანასწორობის მხრივ, სტამბოლის კონვენციის შემდგომი იმპლემენტაცია მნიშვნელოვანია, ამჟამად საქართველო ამ საკითხზე ანგარიშს ამზადებს. სქესობრივი შევიწროვების კანონმდებლობა მიღებული იქნა გასულ წელს ხოლო ეხლა ვითარდება სახელმწიფო მექანიზმი სქესობრივ შევიწროვებასთან ბრძოლისთვის. ბავშვთა ქორწინება რჩება გამოწვევად და შესაბამისად სამოქმედო გეგმის იმპლემენტაციას ვახორციელებთ, სადაც

სოციალური ჩვეულებებთან და სტერეოტიპებთან ბრძოლა უმნიშვნელოვანესი საკითხია. ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრა რჩება ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტად, მიზანია დაიხვეწოს უფასო სახელმწიფო სერვისები, თავშესაფრები და კრიზისული ცენტრები. გენდერული თანასწორობის დასახვეწად აქტიურად ვმუშაობთ საქსტატთან სხვადასხვა მიმართულებით მონაცემთა შეგროვებაზე, რაც ყოველდღიურად გვეხმარება. ქალთა ჩართულობა სამშვიდობო მოლაპარაკებებში ერთ-ერთი პრიორიტეტული სფეროა. ვაძლიერებთ ქალთა მონაწილეობას ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებში. ქალთა ეკონომიკური გაძლიერება კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხია, სადაც არაერთი ასპექტია მნიშვნელოვანი: ანაზღაურების გენდერული სხვაობა, ქალებისთვის ხელმისაწვდომი პროგრამების იმპლემენტაცია. ცნობადობის ამაღლება და სტერეოტიპების დამსხვრევა ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა.

<u>ნინო გახარია, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო</u>

ოჯახურ ძალადობასთან დაკავშირებით მოგაწვდით მონაცემებს - გაზრდილია ნდობა სამართალმდამცავი ორგანოების მიმართ, რაც არაერთ ანგარიშში გამოვლინდა. ბოლო წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა შემაკავებელი ორდერების ოდენობა, ასევე დაწყებული გამოძიების საქმეები. შემაკავებელი ორდერების დარღვევის მაჩვენებელიც შემცირდა. კანონმდებლობა გუამჯობესდა და სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა გამკაცრდა. დაზარალებულის და მოწმის საკოორდინაციო მექანიზმი დაარსდა სულ ცოტა ხნის უკან, რაც შეეხება გენდერულ ძალადობას, ოჯახურ ძალადობას და ანტიდისკრიმინაციას, მიზანია მექანიზმმა მთელი ქვეყნის მასშტაბით იმუშაოს. მინისტრმა შეიმუშავა რისკის შეფასების სისტემა, რაც პოლიციის ოფიცრებს უმარტივებს კონკრეტული პირის რისკის შეფასების პროცესს. GPS მონიტორინგის სისტემა მაღალი რისკის მქონე დამნაშავეებისთვის არის საკანონმდებლო პაკეტში, რომელიც ამჟამად საქართველოს პარლამენტშია. სამინისტრო ინარჩუნებს მკაცრ პოლიტიკას პოლიციელების მიმართ, ვინც ძალაუფლების ბოროტად გამოიყენებენ ან გადაამეტებენ - ბოლო წლებში 21 პოლიციელის მიმართ იქნა გამოყენებული დისციპლინარული პასუხისმგებლობა.

ტრეინინგები და ცნობადობის ამაღლება ძალიან მნიშვნელოვანია, საინფორმაციო კამპანია იქნა გაწეული ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ. ლოქდაუნის პერიოდში ოჯახური ძალადობის გაზრდის რისკი იყო, მაგრამ კომუნიკაციის ეფექტურმა სტრატეგიამ მოახერხა ცნობადობის ამაღლება სმს-ოთ, კამპანიით, როგორც ცხელი ხაზები ასევე ჩატები იყო ხელმისაწვდომი პოტენციურ მსხვერპლთათვის. მონაცემთა ანალიზით დასტურდება, რომ ოჯახური ძალადობა მნიშვნელოვნად არ გაზრდილა. 2020 წლის იანვარში, თებერვალში და მარტში მაჩვენებელი იყო უფრო დაბალი ვიდრე 2019 წელს იგივე თვეებში, აპრილის თვის მაჩვენებელი კი იგივე იყო, რაც 2019 წელს, შესაბამისად მატება არ ფიქსირდება.

<u>თამარ აბაზაძე, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი</u>

გენდერული თანასწორობა გამოწვევად რჩება საქართველოსთვის. Global Gender Gap Index-ში საქართველო 153 ქვეყნიდან 94 ადგილს იკავებს ქალთა პოლიტიკური გაძლიერების მიმართულებით. ფემიციდი კვლავ რჩება გამოწვევად. ცოტა ხსნის წინ ფემიციდის მონიტორინგის ანგარიში იქნა გამოქვეყნებული სახალო დამცველის მიერ, მოიცავს მონაცემთა დინამიკას და არსებულ გამოწვევებს. სოციალურ მუშაკებთან დაკავშირებით, ოჯახური ძალადობის სფეროში კვლავ სამუშაოა ჩასატარებელი. ასევე გასაუმჯობესებელია საკანონმდებლო დონეზე სქესობრივი ძალადობის რეგულაცია, ისევე როგორც მნიშვნელოვანია გაუმჯობესდეს გამოძიების ხარისხი. სამწუხაროდ ადრეულ ასაკში ქორწინება და ნიშნობა რჩება მნიშვნელოვან გამოწვევად. ჰომოფობი ჯგუფების გამო LGBTI თემი ჯერ კიდევ შევიწროებას განიცხდის, არის ძალადობის და დისკრიმინაციის მსვერპლი, არ დგება კონკრეტული პირების პასუხისმგებლობა რიგ შემთხვევებში.

რიჩარდ ტიბელს, ევროკავშირის საგარეო ქმედებათა სამსახური

ყველა ჩვენს კითხვას პასუხი გაეცა. გენდერის სამოქმედო გეგმის იმპლემენტაციის პროცესში პროგრესი საინტერესოა და ასევე, თუ რა კეთდება ადგილობრივ დონეზე, რამდენად მოხერხდა გენდერული თანასწორობის საბჭოში ადამიანური რესურსის გაზრდა.

ლელა აქიაშვილი, საქართველოს პრემიერ-მინისტრის ადმინისტრაცია

გენდერული თანასწორობის კომისიაში გაიზარდა ადამიანური რესურსი, ამჟამად ადამიანის უფლებების სამდივნო სრულად ემსახურება გენდერული თანასწორობის კომისიას, ანუ 7 ადამიანი უწევს ამჟამად დახმარებას. ვაგრძელებთ თანამშრომლობას გაეროს ოფისებთან, ევროკავშირთან რათა დასახულ მიზნებს მივაღწიოთ. 2019 წლამდე კომისიას ყავდა 3 სამუშაო ჯგუფი, ეხლა 9 სამუშაო ჯგუფია, იმ მიმართულებებით, რომელზეც კომისია აქტიურად მუშაობს. გენდერული თანასწორობის გეგმები ვითარდება ადგილობრივ მუნიციპალიტეტებში, რომლებიც ანგარიშვალდებული არ არიან კომისიის წინაშე თუმცა ვთანამშრომლობთ. ამჟამად საერთაშორისო ორგანიზაციებიც ჩართული არიან ადგილობრივ დონეზე გენდერის საკითხებში.

ადრიანო მარტინს, ევროკავშირის საგარეო ქმედებათა სამსახური

გენდერული თანასწორობა და ქალთა უფლებები ევროკავშირის დღის წესრიგში ძალიან მაღლა დგას. კოვიდ-19-მა გავლენა მოახდინა ქალთა უფლებებზე, თუმცა ჩვენ უნდა გავაგრძელოთ ქალთა მდგომარეობის გაძლიერება და დავიცვათ ძალადობისგან. 29 მაისს ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენლემა საგარეო საკითხებში გამოსცა განცხადება ქალთა უფლებრივ მდგომარეობაზე მსოფლიოს გარშემო კოვიდ-19-ის პერიოდში, ვინაიდან გაზრდილია უთანასწორობა ქალებისა და გოგონებისთვის. ამჟამად მუშაობა მიმდინარეობს ევროკავშირის გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმაზე, რაც ევროკომისიის მიერ არის ინიცირებული და ჩვენი სამსახურიც უწევს დახმარებას.

გ. ბავშვთა უფლებები

ნიკოლოზ სამხარაძე, საქართველოს პარლამენტი

ბავშვთა უფლებათა კოდექსი, რომელიც საქართველოს პარლამენტმა მიიღო ორ მთავარ ნაწილს მოიცავს: ბავშვთა უფლებების დაცვის სისტემა და ბავშვის დახმარების სისტემა. უფლებათა დაცვის სისტემა სახელმწიფოს უჩენს ვალდებულებას გაატაროს რიგი ზომები და დააფუძნოს ეფექტური მექანიზმები, რათა მოხდეს ძალადობის ამოცნობა და პრევენცია ბავშვების წინააღმდეგ მიმართული, ამავდროულად წარმოშობს ვალდებულობას სახელმწიფოსთვის დაიცვას ბავშვები საფრთხის შემცველი და საშიში სამუშაოსგან. რაც შეეხება მეორე ნაწილს, ბავშვებისათვის დახმარების აღმოჩენას - მიზანს ისახავს გაუმჯობესებული იქნას გარემო როგორც მატერიალური, ისე არამატერიალური გზით. კოდექსი ითვალისწინებს ბავშვთა ჯანდაცვის კომპლექსურ პროგრამას, ასევე საგანმანათლებლო პროგრამების ნაწილში გათვალისწინებულია ახალი პროგრამების შემუშავება, ასევე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის ცალკე მორგებული პროგრამები. ბავშვთა მოვლის ალტერნატივებსაც ითვალისწინებს კოდექსი, ითვალისწინებს სახელმწიფომ გაატაროს ზომები ბავშვთა საცხოვრებლების დეინსტიტუციონალიზაციის სფეროში და ჩანაცვლებული იქნას ამჟამად მოქმედი სისტემა.

თამარ როსტიაშვილი, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი მიღებული იქნა 2015 წელს და წარმოადგინა ახალი ფილოსოფია თავისუფლების აღკვეთის ალტერნატიული საშუალებების შესახებ ბავშვებისთვის. 2019 წლის მონაცემები ადასტურებს, რომ მხოლოდ 10 არასრულწლოვანი იქნა

განთავსებული სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, მაშინ როდესაც 2010 წელს ეს რიცხვი 46-ს შეადგენდა. აქტიურად გამოიყენება მედიაცია და განრიდება. არასრულწლოვანთა რიცხვი, ვინც ჩართულია განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში მნიშვნელოვნად გაიზარდა. ბავშვთა საქმეების გადაცემის მექანიზმი შექმნილი იქნა 2020 წლის იანვარში და კოორდინირებას უწევს სხვადასხვა სააგენტოებს, აფასებს ბავშვთა პირებებს, უზრუნველყოფს სერვისებს, სოციალურ დახმარებას, ტრეინინგ პროგრამებს და კონფლიექტების აღმოფხვრის უნარებს. პროფესიული პროგრამები ასევე ხელმისაწვდომია, ასევე კინო-კლუბები, ცენტრი მუშაობას განაგრძობდა პანდემიის პერიოდშიც. იუსტიციის სამინისტრო გულმოდგინედ მუშაობს დამატებით ზომები გატარდეს პატიმრობაში მყოფი არასრულწლოვნების უფლებების ჯეროვნად დასაცავად.

<u>კახა ხანდოლიშვილი, საქართველოს განათლების სამინისტრო</u>

განათლების სამინისტროს ერთ-ერთი მიზანია თოთოეულმა ბავშვმა მიიღოს მაღალი ხარისხის განათლება. ბავშვებს განსაკუთრებული საჭიროებებით მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობათ - მნიშვნელოვნად გაზრდილია მათი რიცხვი სკოლებში, გაზრდილია მასწავლებელთა რიცხვი ვინც მათთან მუშაობენ. ბოშა ბავშვების ჩართულობა საგანმანათლებლო პროგრამებში განსაკუთრებით გაზრდილია თბილისსა და აჭარაში.

<u>მერი მაღლაფერიძე, სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო</u>

ბავშვთა სიღარიბის შემცირება ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენს, შესაბამისად 2019 წლიდან ბავშვებისთვის დახმარების პაკეტი გაზრდილი იქნა სიღარიბის დაძლევის მიზნით და სხვადასხვა პროგრამები იქნა შემუშავებული მუნიციპალიტეტების მიერ. გაეროს ბავშვთა ფონდი დაგვეხმარა, რათა ინდექსის შეფასება გაკეთებულიყო, რომლის მეშვეობითაც სოციალური დახმარების პროგრამების გავლენის და შეფასებების გაკეთება იქნებოდა შესაძლებელი. ეს უკანასკნელი გამოქვეყნდება ამ წლის ბოლოს. რაც შეეხება ბავშვთა მოვლის დეცენტრალიზაციას, ახალი კოდექსი დელეგირებას აკეთებს რიგი პროგრამებისას ადგილობრივ მუნიციპალიტეტებზე, რაც ძალიან პოზიტიურია, რითაც კიდევ უფრო მეტი ბენეფიციარი იქნებოდა. დამატებით, კოვიდ-19-ის პანდემიის პერიოდში რიგი სოციალური პროგრამები შეჩერებული იქნა, თუმცა მადლობა გაეროს ბავშვთა ფონდს, ეს პროგრამები მოდიფიცირებული იქნა და ონლაინ მიეწოდებოდა მომხმარებელს. კარანტინის სივრცეები იქნა შექმნილი ბენეფიციარებისთვის, ვინც მაღალი რისკის ჯგუფს მიეკუთვნებოდნენ. უსახლკარო ბავშვებთან დაკავშირებით 2020 წელს ბიუჯეტმა განიცადა მცირედი ზრდა და ეხლა იხსნება ახალი ცენტრი აჭარის რეგიონში, ამ დრომდე კი მხოლოდ 3 ცენტრი ფუნქციონირებდა. აქტიურად ვმუშაობდით, რათა განგვევითარებინა მომსახურებები ძალადობის მსხვერპლი ბავშვებისთვის. ბავშვთა კეთილმოწყობის რეფორმა 2004 წლიდან მიმდინრეობს და მთავარი მიზანი იყო დიდი მასშტაბის დაწესებულებების დახურვა. 2016 წლიდან ორი ბავშვთა სახლი გაიხსნა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშებისთვის, ერთ-ერთი აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის მხარდაჭერით. ვმუშაობთ ახალ გეგმასა და სტრატეგიაზე, რომელიც მალე გვექნება.

<u>თამარ აბაზაძე, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი</u>

ბავშვთა უფლებების დაცვასთან დაკავშირებით, კოდექსი რომელიც საქართველოს პარლამენტმა მიიღო კარგი წინგადადგმული ნაბიჯია. სრული და ეფექტური იმპლემენტაცია ბავშვთა უფლებების დასაცავად ჯერ კიდევ გამოწვევებით ხასიათდება. სოციალური დაცვის ნაკლებობა, ბავშვთა პროგრამების სიმწირე, ეფექტურობის ნაკლებობა არსებულ პროგრამებში, სოციალური მუშაკების სიმცირე უარყოფითად მოქმედებს ბავშთა უფლებების ჯეროვან დაცვაზე. 2019 წელს გაზრდილი იყო თვითმკვლელობისა და მისი მცდელობის შემთხვევები ბავშვებში. ფსიქოლოგიური სერვისებისა და მხარდაჭერის პროგრამები ბავშვებისთვის, დაცვა ძალადობისგან სახელმწიფოს კონტროლის ქვეშ მყოფ დაწესებულებებში, ძალადობისგან ბავშვების დაცვა ოჯახებში ჯერ კიდევ

პრობლემატურია. რიცხვი ბავშვებისა, ვინც სკოლებს ტოვებენ მაღალია, ბავშვები ცხოვრობენ და მუშაობენ ქუჩებში, რელიგიურ დაწესებულებებში ბავშვებზე მზრუნველობა პრობლემატურია. რაც შეეხება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებას, სახალხო დამცველმა მოამზადა სპეციალური ანგარიში ამ საკითხზე და სთავაზობს მთავრობას კონკრეტულ რეკომენდაციებს.

<u>რიჩარდ ტიბელს, ევროკავშირის საგარეო ქმედებათა სამსახური</u>

მივესალმებით ბავშვთა კოდექსის მიღებას და ველით იმპლემენტაციას, რასაც ყურადღებით დავაკვირდებით.

<u>სოფი ვან ბერგენ, ევროკავშირის საგარეო ქმედებათა სამსახური</u>

საინტერესოა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის იმპლემენტაცია და მოგიწოდებთ განაგრძოთ ძალისხმევის მობილიზება ამ მიმართლებით. ვიცით ბავშვებთან დაკავშირებული პრობლემური ასპექტები და სამწუხარო მდგომარეობა. ჩვენთვის ასევე პრიორიტეტულია დეინსტიტუციონალიზაცია, რომელიც 2004 წლიდან მიმდინარეობს და ველით მის დასრულებას. მოვუწოდებთ ლიცენზირებულ დაწესებულებებს აქცენტი გაკეთდეს ხარისხზე. ტრეინინგები პროფესიული ჯგუფებისთვის იქნა ნახსენები, ძალიან მნიშვნელოვანია კარგად გადამზადებული ადამიანური რესურსი, განსაკუთრებით შშმპ ბავშებთან მიმართებაში.

გ. შრომის უფლებები

<u>ნიკა სამხარაძე, საქართველოს პარლამენტი</u>

სანამ შრომის უფლებებზე გადავალთ, მინდა ინფორმაცია მოგაწოდოთ, რომ საარჩევნო პაკეტი მიღებული იქნა პარლამენტში მეორე მოსმენით. რაც შეეხება შრომის კოდექსს, ცვლილებების პაკეტი სათავეს ღებულობს ასოცირების შეთნახმებიდან და ასახავს რელევანტურ ევროკავშირის დირექტივებს, ისევე როგორც მსოფლიო შრომის ორგანიზაციის რეკომენდაციებს. საკანონმდებლო ცვლილებები მოიცავს: შრომის დისკრიმინაციის აკრძალვას ევროკავშირის 2006 წლის დირექტივის შესაბამისად, სამუშაო საათების რეგულირებას ევროკავშირის დირექტივის მიხედვით, დღის/ღამის ცვლებში მუშაობას ევროკავშირის დირექტივის შესაბამისად, დამატებითი საათები მშობიარობის წინა შემოწმებებისთვის, მშობლის დეკრეტი, შრომის ანაზღაურება, მასიური დათხოვნა თანამშრომლების და გაფიცვის უფლება. ასევე ცვლილებები შევა კანონში სახელმწიფო ინსპექტორის შესახებ და დაწესდება ადმინისტრაციული ჯარიმა დარღვევების შემთხვევაში. გუშინ იყო კომიტეტში მოსმენა, პლენარული მოსმენა შემდეგი სესიისას გაიმართება.

<u>ლიკა კლიმიაშვილი, საქართველოს შრომის სამინისტრო</u>

2019 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი შრომის უსაფრთხოების შესახებ, რომელმაც განავრცო შრომის ინსპექტორის მანდატი. 2019 წლის სექტემბრიდან კანონი ფარავს ყველა ეკონომიკურ სექტორს, როგორც საჯარო ისე კერძოს. შრომის ინსპექტორების რიცხვი გაიზარდა 29-დან 40-ამდე და ორი დანაყოფი შეიქმნა დეპარტამენტში. 2020 წელს შრომის ინსპექტორის ბიუჯეტი თითქმის გაორმაგდა 2020 წელს. იანვარში მთავრობამ გადაწყვიტა ინსპექტორთა რიცხვი გაეზარდა 100-ამდე, მსოფლიო შრომის ორგანიზაციის რეკომენდაციის თანახმად. ამჟამად მიმდინარეობს ახალი შრომის ინსპექტორების შერჩევის პროცესი. მობილური აპლიკაცია იქნა შექმნილი GIZ-თან თანამშრომლობით შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, რაც მოიცავს რეგულაციებს, საფრთხის შემცველ ზომებზე ინფორმაციას, ტექნიკურ ინსტრუქციებს. ინსპექტორატის შიდა მექანიზმის განვითარება პროცესშია. მიმდინარეობს თვინინგის პროექტები ევროკავშირთან და ველით ექსპერტების მიმოხილვას. კანონის მიღების შემდგომ, 558 კომპანია იქნა ინსპექტირებული 2019 წელს, 29 შემთხვევაში სამუშაო პროცესი შეჩერდა სტანდარტების არადამაკმაყოფილებელი მდგომრეობის გამო, 127-მა კომპანიამ შეასრულა რეკომენდაციები და 202 დაჯარიმდა ფინანსური ჯარიმით. შრომის კოდექსის ცვლილებებთან ერთად შრომის ინსპექტორის შესახებაც იქნა ცვლილებები ინიცირებული, რომელიც შრომის ინსპექტორს, როგორც ცალკე უწყებას აყალიბებს და

მანდატს აფართოებს ზედამხედველობით ყველა შრომით უფლებაზე როგორიცაა: კანონი საჯარო სამსახურის შესახებ, იძულებითი შრომა, ა.შ.

<u>თამარ აბაზაძე, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი</u>

შრომის კანონმდებლობის ცვლილებებთან დაკავშირებით, ომბუდსმენი მიესალმება საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტის ნაწილს, რომელიც შრომის ინსპექტორს აძლევს მანდატს განახორციელოს ეფექტური ზედამხედველობა. მომზადებულ ცვლილებებს აქვს ხარვეზები და არის რისკი, რომ რიგი ცვლილებები პრაქტიკაში პრობლემატური იქნება - გარკვეული უფლებამოსილების დუპლიკატირება ხდება და აღსრულებაში შესაძლებელია დაბრკოლება შექმნას.

<u>რიჩარდ ტიბელს, ევროკავშირის საგარეო ქმედებათა სამსახური</u>

შრომის კანონმდებლობა მნიშვნელოვანი სფერაა და საკანონმდებლო ცვლილებები პირდაპირ კავშირშია ასოცირების შეთანხმებასთან. ბუნებრივია კოვიდ-19-ის შედეგების რეაბილიტაციის პროცესში შრომის უფლებები პრიორიტეტი უნდა იყოს, რადგან ეკონომიკურმა კრიზისმა არ გააუარესოს დასაქმებულთა მდგომარეობა, ისედაც რთულ პერიოდში. ევროკომისიის მხრიდან ფრედერიკ რიშნერი ჩაერთვება.

<u>ფრედერიკ რიშნერ, ევროკომისია, DG EMPL</u>

ძალიან საინტერესო სიახლეებია შრომის უფლებებთან დაკავშირებით საქართველოში. ჩვენ ვინარჩუნებთ აქცენტს შრომის პირობებზე კოვიდ-19-ის პანდემიის შემდგომ განსაკუთრებით. გვიხარია, რომ საქართველო აძლიერებს ძალისხმევას სამუშაო პირობების მონიტორინგისთვის. მივესალმებით ინსპექტორთა რიცხვის 100-ამდე გაზრდას. ჩვენ ინფორმირებული ვართ შრომის კოდექსთან დაკავსირებით და მივესალმებით, რომ ცვლილებები ასახავს ევროკავშირის არაერთ დირექტივას, ასევე კარგია რომ ხარვეზები აღმოიფხვრა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის სტანდარტებთან დაკავშირებით. ევროკავშირი ამჟამად ხელს უწყობს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ახალი 109 კონვენციის რატიფიკაციას, რომელიც შეეხება სამუშაო ადგილას ძალადობის აღმოფხვრის გლობალური სტანდარტების დაწესებას.

დ. არაჰუმანური მოპყრობის აღმოფხვრა

<u>ადრიანო მარტინს, ევროკავშირის საგარეო ქმედებათა სამსახური</u>

არაჰუმანური მოპყრობასთან და წამებასთან ბრძოლა რჩება ევროკავშირის ერთ-ერთი უმაღლესი პრიორიტეტი, აქტიურად ვუჭერთ მხარს წამების წინააღმდეგ კონვენციის ინიციატივის და იმედი გვაქვს რატიფიკაციის პროცესი დასრულდება 2024 წლამდე. მივესალმებით საქართველოს პროგრესს არაჰუმანურ მოპყრობასთან და წამების წინააღმდეგ ბრძოლაში, განსაკუთრებით რაც შეეხება პატიმართა მოპყრობას და მათი ჯანდაცვის მდგომარეობას. მნიშვნელოვანია არსებობდეს გაეროს მინიმალური სტანდარტები, რომელიც ასევე მნიშვნელოვან დამცავ მექანიზმებს მოიცავს დაკავების წინასწარ ეტაპზეც. ძალიან მნიშვნელოვანია განცხადებული შემთხვევების ეფექტური გამოძიება და დამნაშავეთა პასუხისგებაში მიცემა, რათა არ იყოს დაუსჯელობის სინდრომი. მივესალმებით საქართველოს მონაწილეობას გლობალურ ალიანსში წამების წინააღმდეგ და იმედი გვაქვს საქართველოს მხარდაჭერის გაეროს რეზოლუციაზე წამებისგან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ, რომლის მიღებაც ახლო მომავალში იგეგმება.

<u>ივონ გოგოლ, ევროკავშირის დელეგაცია საქართველოში</u>

ჩვენთვის აღსანიშნავია პროგრესი, რომელიც არაჰუმანური მოპყრობის პრევენციისა და წამების აღკვეთის მიზნით იქნა მიღწეული. ბოლო შეფასება CPT-ს მიერ ადასტურებს პროგრესს, პოზიტიურად მოიხსენიებს სახელმწიფოს ძალისხმევას, შსს-ს ძალისხმევას პოლიციის მხრიდან

არაჰუმანური მოპყრობის აღმოფხვრის შესახებ, თუმცა ანგარიში ასევე წარმოაჩენს რიგ ხარვეზებს: არსებული იერარქია პატიმრებში, ჯანდაცვის დაწესებულებების სიმწირე და შინაარსის მქონე აქტივობების არარსებობა. გვაინტერესებს მოვიკითხოთ რამდენად იგეგმება რეკომენდაციების შესრულება. საინტერესოა ასევე გადამეტებული ძალის გამოყენების საკითხი 20 ივნისის დემონსტრაციების დროს. ასევე გვაინტერესებს სტამბოლის კონვენციის ოქმის საკითხი. სახალხო დამცველის რამდენი რეკომენდაციის გათვალისწინება ხდება უწყებების მიერ. ასევე თუ აღმოიფხვრა პრობლემა, რომ 2018 წელს განსაკუთრებით გაზრდილი იყო სხეულის დაზიანებების შემთხვევები აჭარის რეგიონში. მნიშვნელოვანია ხაზი გავუსვათ ეროვნული პრევენციის მექანიზმის მნიშვნელოვან როლს და გარემოებას, რომ სამუშაოს შესრულება უნდა შეძლონ დამოუკიდებლად, სრული კომპეტენციისა და კონფიდენციალობის დაცვით.

<u>ქეთევან სარაჯიშვილი, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო</u>

არაჰუმანური მოპყრობის შესახებ არსებობს ორ წლიანი გეგმა 2019-2020, რომელიც შეიმუშავა უწყებათაშორის სამუშაო ჯგუფმა, სამოქალაქო საზოგადოებისა და ომბუდსმენის აქტიური ჩათულობით. ამჟამად სრულდება ანგარიშის მომზადება სამოქმედო გეგმაზე, რაც კარგი შეფასება იქნება. CPT-ს რეკომენდაციები მიღებული იქნა მხედველობაში. ახალი სამოქმედო გეგმით 2021-2022 გათვალისწინებულია 4 მთავარი მიმართულება და განვითარდება რიგი მექანიზმები არაჰუმანური მოპყრობის წინააღმდეგ. მხედველობაში ვიღებთ სახალხო დამცველის და ეროვნული პრევენციის მექანიზმის რეკომენდაციებს. გაეროს მინიმალური სტანდარტები მთავარი გაიდლაინებია საქართველოს სასჯელაღსრულების სფეროში მომუშავე პირებისთვის. JLS დიალოგის ფარგლებში ფართოდ შევეხეთ პატიმრებისა და პენიტენციალური რეფორმის საკითხს. აღსანიშნავია, რომ საქართველოს არ ქონია კორონავირუსის არცერთი შემთხვევა ციხეში. იერარქია პატიმრებს შორის და სუბკულტურა არაა ხშირი ჩვენი ინფორმაციის თანახმად, სუბკულტურის ერთი წარმომადგენელი იზოლირებული იქნა, რათა ვერ მოახდინოს გავლენა სხვა პატიმრებზე. რაც შეეხება პატიმრებს ერთ დაწესებულებაში, შესაძლებელია იყოს იერარქია მათ შორის ვინც ერთად ცხოვრობენ, არის შემთხვევები ლიდერობის ხელში ჩაგდების - დაახლოებით 60 შემთხვევა დაფიქსირდა და ყველა პატიმარი გადაყვანილი იქნა დახურულ დაწესებულებაში.

<u>თამარ ზუბაშვილი, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური</u>

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო მიმართულებამ ფუნქციონირება დაიწყო გასული წლის ნოემბერში. აღნიშნულის დროში გადაწევის მიზანი გახლდათ ფინანსური რესურსები, თუმცა ნოემბრიდან აღმოიფხვრა ეს საკითხი. ამჟამად ბიუჯეტი არის 8 მილიონი ლარი, ორი ოფისი გვაქვს და მესამე დაემატა აჭარაში, ვინაიდან გაიზარდა აჭარის რეგიონში განაცხადების რაოდენობა. ამჟამად უწყებაში არის 17 გამომძიებელი და 3 ვაკანტური თანამდებობა. არსებული ბიუჯეტით შეგვიძლია გავუმკლავდეთ საქმეების ოდენობას, თუმცა თუ გაიზარდა განაცხადების ოდენობა, მეტი გამომძიებლების დაქირავება მოგვიწევს და რეგიონული ოფისების დამატება, რისთვისაც ამჟამინდელი ბიუჯეტი საკმარისი არ იქნებოდა.

<u>ლაშა მჭედლიშვილი, საქართველოს მთავარი პროკურატურა</u>

არაჰუმანური მოპყრობის ფაქტებზე გამოძიება იქნა დაწყებული 70 შემთხვევაში, იმ 80 რეკომენდაციის შედეგად, რაც ომბუდსმენისგან იქნა მიღებული 2013-2019 წელს. გამოძიება დასრულდა 20 საქმეში, გამოძება მიმდინარეობს 50 საქმეში. ამჟამინდელი მდგომარეობით კონკრეტულ პირები არ ყოფილან მიცემული პასუხისგებაში.

<u>ქეთევან გოგინაშვილი, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო</u>

ფსიქიკური ჯანდაცვა ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. ეროვნული სტრატეგია იქნა მიღებული სახელმწიფოს მიერ, რათა გაუმჯობესებულიყო ფსიქოლოგიური ჯანდაცვა საქართველოში.

ინფრაქტრუქტურის გაუმჯობესება, მათი უფლებების დაცვა ვინც საჭიროებენ, ინსტიტუციების დეცენტრალიზაცია, ცნობადობის ამაღლება სტიგმატიზაციის თავიდან აცილების მიზნით. 2018 წლიდან საზოგადოებრივი სერვისების დაფინანსება იქნა წამოწყებული. მობილური სერვისები, ჯამში 31 არის ქვეყანაში და ბენეფიციარებს შეუძლიათ სარგებლობა. 2019 წელს თავშესაფარი იქნა გახსნილი 24 ბენეფიციარისთვის ბათუმში, მეტი იგეგმება წელს. თანამშრომლობით არასამთავრობო ორგანიზაციებთან, ჯანდაცვის სამინისტრომ მოამზადა საკანონმდებლო პროექტი, რომელიც რიგ ახალ სერვისებს ითვალისწინებს. კოვიდ-19-ის პერიოდში ჩატარდა ფსიქოლოგიური ჯანმრთელობის დაწესებულებების მონიტორინგი. ასევე შემუშავებული იქნა ოქმები და გაიდლაინები „ფსიქიკური ჯანმრთელობა და კორონავირუსი“.

<u>თამარ აბაზაძე, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი</u>

2019 წელს წამება და არაჰუმანური მოპყრობა არ იყო განსაკუთრებული პრობლემა. საგამოძიებო ორგანოებისთვის დიდ გამოწვევად რჩება არაჰუმანური მოპყრობისა და წამების ფაქტების გამოძიება, ვინაიდან ჯერ არცერთი ადამიანის პასუხისგებაში მიცემა სახეზე არაა, მას შემდეგ რაც სახალხო დამცველმა წარადგინა 107 რეკომენდაცია 2013-2019 წლებში. იმედი გვაქვს ახალი ინსპექტორის სამსახურის მეშვეობით ეს პრობლემა აღმოიფხვრება. ექიმები ციხეებში არაჰუმანური მოპყრობის ფაქტებზე ინფორმაციას აწვდიან სასჯელაღსრულების სამსახურს და არა დამოუკიდებელ ორგანოს, რაც საფრთხეს უქმნის ეფექტურ გამოძიებას და პატიმრებისთის არაჰუმანური მოპყრობის/წამების რისკს ზრდის. პრობლემატურია პატიმრების განთავსება იზოლაციაში/დეესკალაციის ოთახებში ნამეტანი ხანგრძლივი დროით, მათი გასაჩივრების უფლების სეზღუდვა, რესოციალიზაციისთვის საჭირო აქტივობების ნაკლებობა, ასევე მათი ფსიქიკური ჯანმრთელობისთვის არასათანადო პირობები. მოქალაქეები პოლიციის მიერ დაკავებისას არ სარგებლობენ სათანადო დამცავი გარანტიებით არაჰუმანური მოპყრობისაგან, ჯერ კიდევ არ არის კანონმდებლობაში გაწერილი პოლიციელის მოვალეობა ჩაიწეროს საუბარი/კონტაქტი დაკავებულ პირთან. 2018 წელს ეროვნული პრევენციის მექანიზმმა გადააგზავნა 32 რეკომენდაცია, ხოლო იუსტიციის სამინისტრომ არ შეასრულა მათგან 16 რეკომენდაცია.

ე. შეკრებისა და მანიფესტაციის უფლება

<u>რიჩარდ ტიბელს, ევროკავშირის საგარეო ქმედებათა სამსახური</u>

მივესალმებით ქვეყანაში არსებულ პატივისცემას შეკრებებისა და მანიფესტაციის უფლების მიმართ. ჩვენ ჩივილები გვქონდა 2019 წელს საგამოძიებო ორგანოების მიერ 20 ივნისს დემონსტრაციებისას გადამეტებული ძალის გამოყენების საკითხზე და გვაინტერესებს გამოძიებები რა ეტაპზეა ამ საკითხზე. რაც შეეხება შეზღუდვებს, რომ LGBTI თემმა ისარგებლოს შეკრებისა და მანიფესტაციის უფლებით, გვაინტერესებ რა გეგმები გაქვთ, რომ მათ შეძლონ ამ უფლებით სარგებლობა.

<u>ნინო გახარია, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო</u>

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიზანია საჯარო წესრიგის და მოქალაქეთა უსაფრთხოების დაცვა, შეკრებებისა და მანიფესტაციების უფლების დაცვის პარალელურად. 2018 წელს საერთაშორისო დღე ჰომოფობიის წინააღმდეგ აღნიშნული იქნა მშვიდობიანად, პოლიცია იცავდა დემონსტრაციების უსაფრთხოებას და ინარჩუნებდა მშვიდობიან გარემოს. 30-ზე მეტი კონტრ-აქციის მონაწილე იქნა დაკავებული. 2018 წელს ასევე იყო სხვა დემონსტრაციები, თუმცა მშვიდი. 2019 წელს 17 მაისს ჰომოფობიის საერთაშორისო დღის აღმნიშვნელი შეკრება/მანიფესტაცია არ განხორციელდა, თუმცა შსს-მ განმარტა, რომ უზრუნველყოფდა გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობას თემისთვის. 2019 წლის თებერვალში „თბილისი პრაიდ“ კვირა იქნა გამოცხადებული LGBTI თემის მიერ, რომელმაც მოსახლეობაში პროტესტი გამოიწვია. შერჩეული იქნა რიგი მდებარეობები ერთი კვირის მანძილზე ღონისძიებისთვის ორგანიზატორების მიერ. ჩვენ მათ შევთავაზეთ ალტერნატივა, სადაც შევძლებდით მათი უსაფრთხოების უზრუნველყოფას, თუმცა მათ უარი თქვეს. ივნისის თვეში ჩატარებული დემონსტრაციების დროს LGBTI თემის მიერ ასევე

იყო კონტრ-აქცია პარალელურად. აღსანიშნავია, რომ „თბილისი პრაიდი“ გადაიდო, ვინაიდან სხვა ღონისძიებები მიმდინარეობდა პარალელურ რეჟიმში, ეგრედ წოდებული 2019 წლის ივნისის ცნობილი მოვლენები.

<u>ნიკოლოზ ჭინკორაშვილი, საქართველოს მთავარი პროკურატურა</u>

რაც შეეხება 20 ივნისის მოვლენების გარშემო დაწყებულ გამოძიებებს - 1000-ზე მეტი საგამოძიებო მოქმედება ჩატარდა, 7050 ადამიანი იქნა დაკითხული - მოქალაქეები, ჟურნალისტები, სამედიცინო პერსონალი, პოლიციის ოფიცრები. დიდი ზომის ვიდეო და ფოტო მასალის ანალიზი გაკეთდა და 350-ზე მეტი კრიმინალისტიკური გამოკვლევა ჩატარდა. შედეგად 8 ადამიანს მიენიჭა დაზარალებულის სტატუსი, 3 პოლიციელი მიეცა პასუხისგებაში ძალაუფლების გადამეტებისთვის ძალადობისა და იარაღის გამოყენებით, 3 პოლიციის ოფიცრის საქმე ამჟამად განიხილება სასამართლოში და ომბუდსმენი ახორციელებს მონიტორინგს. ჯერ კიდევ რიგი კრიმინალისტიკური გამოკვლევები ჩასატარებელია და საქმეებზე მიმდინარეობს გამოძიება.

<u>თამარ აბაზაძე, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი</u>

2019 წელს შეკრებებისა და მანიფესტაციების უფლება განსაკუთრებით სენსიტიური საკითხი იყო. რიგ შემთხვევაში არაპროპორციული ძალის გამოყენება იქნა სახეზე მშვიდობიანი დემონსტრანტების მიმართ. რადიკალური ჯგუფები, რომლებიც დემონსტრაციებს მართავენ, მათ მიმართ ძალოვანი უწყებების მხრიდან არ ხდება ადეკვატური ზომების მიღება. ჰომოფობიური ჯგუფები მართავენ დემონსტრაციებს შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების ბოროტად გამოყენებით, ვინაიდან მათი ძალადობრივი ქმედებები არ არის კონსტიტუციით დაცული. რაც შეეხება 20-21 ივნისის დემონსტრაციებს, სანამ მოხდებოდა ძალის გამოყენება, სახალხო დამცველის აზრით ძალოვანმა უწყებებმა გასაგებად არ გააფრთხილეს აქციის მონაწილეები და არაპროპორციული ძალა იქნა გამოყენებული. ომბუდსმენმა გამოაქვეყნა ცოტა ხნის უკან სპეციალური ანგარიში შეკრებებისა და მანიფესტაციის უფლებაზე, სადაც დეტალურადაა ხსენებული საკითხი განხილული. სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა 20-21 ივნისის დემონსტრაციების საკითხი და მთავარი ტენდენცია არის, რომ პროკურატურა ცდილობს გამოიძიოს კონკრეტული დარღვევები ჩადენილი პოლიციელების მიმართ და ამით შემოიფარგლოს. რიგი ჩანაწერების გამოკვლევა არ განხორციელებულა ეფექტური გამოძიების უზრუნველყოფის მიზნით.

<u>რიჩარდ ტიბელს, ევროკავშირის საგარეო ქმედებათა სამსახური</u>

ნამდვილად 20 ივნისის მოვლენებთან დაკავშირებული გამოძიება ძირითადად პოლიციის ოფიცრებზე ჩანს ორიენტირებული, იმის ნაცვლად რომ უფრო ფართო გამოძიება ჩატარდეს ძალაუფლების გადამეტებაზე, რაც ჩვენ გვაღელვს. გულახდილად რომ გითხრა, 20 ივნისი 2019 ერთი წლის წინ იყო და ყველანაირი პატივისცემით საგამოძიებო ორგანოების მიმართ, წელიწადზე მეტი გავიდა ხსენებული მოვლენების მერე.

<u>ნიკოლოზ ჭინკორაშვილი, საქართველოს მთავარი პროკურატურა</u>

ამჟამად 3 ადამიანს წაეყენა ბრალი და არ გამოვრიცხავთ სხვა პირებიც მიეცენ პასუხისგებაში. საგამოძიებო მოქმედებები გრძელდება და კრიმინალისტიკური გამოკვლევები ჯერ უნდა ჩატარდეს.

3. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების უფლებები

<u>ივონ გოგოლ, ევროკავშირის დელეგაცია საქართველოში</u>

საკანონმდებლო აქტის პროექტი, რომელიც ამჟამად საქართველოს პარლამენტშია წინგადადგმული ნაბიჯია და იმედი გვაქვს დროულად იქნება მიღებული. მნიშვნელოვანია სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა კონსულტაციებში. ხაზი გვინდა გავუსვათ გაეროს შშმპ ბავშვთა

კონვენციის იმპლემენტაციის საკითხს. კარგი იქნება განისზღვროს სახელმწიფოს მხრიდან კოორდინაციის როლის მქონე უწყება შშმ პირთა უფლებებთან დაკავშირებით. გვაინტერესებს ფსიქიატრიული ინსტიტუტების და დაგეგმილი რეფორმების შესახებ ინფორმაცია.

<u>ლელა აქიაშვილი, საქართველოს პრემიერ-მინისტრის მრჩეველი</u>

მონაცემთა ნაკლებობა შშმ პირებთან დაკავშირებით გამოწვევას წარმოადგენს - ოფიციალურად რეგისტრირებულია 125 000 ადამიანი, თუმცა ალბათ არ ასახავს რეალურ ციფრს. სტიგმა შშმ პირების მიმართ კლებას განიცდის, ბოლო ათი წლის მანძილზე, არსებითი ცვლილებებია სახეზე, თუმცა ჯერ კიდევ არის სამუშაო. მთავრობამ წამოიწყო ზომების გატარება პოლიტიკის დონეზე. შშმ პირებზე კანონპროექტი მომზადდა იუსტიციის სამინისტროს მიერ, კარგად ჩაიარა მეორე მოსმენამ და იმედია მესამე მოსმენაც წარმატებული იქნა. ერთ-ერთ სიახლეს კანონპროექტში წარმოადგენს პირადი ასისტენტის ინსტიტუტი, ასევე სამედიცინო სისტემის შეფასებასთან დაკავშირებული საკითხები. ეროვნული კოორდინაციის მექანიზმზე აქტიურად ვმუშაობთ. შშმ პირთა ინკლუზიურობა, ჩვენი მიზანია არა მხოლოდ აქტიური პირების ინკლუზიურობა, არამედ ასევე მათი, ვინც არც ისე აქტიურობს საზოგადოებაში. ჩვენ აქტიურად ვთანამშრომლობთ სახალხო დამცველის საკონსულტაციო საბჭოსთან შშმ პირთა უფლებებზე, რომელიც დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური კადრებით აღნიშნულ საკითხებში. ადგილობრივი საბჭოები შშმ პირთა უფლებების შესახებ ძალიან მნიშვნელოვანია და ადგილობრივი პრაქტიკის სისტემატიზაცია აუცილებელია.

<u>მერი მაღლაფერიძე, სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო</u>

სრულწლოვან პირების რეაბილიტაციასთან დაკავშირებით თანამშრომლობა მიმდინარეობს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციასთან, რათა შემუშავებული იქნას ეროვნული სტრატეგია. მოსამზადებელი სამუშაოები დაწყებულია და მალე სრულწლოვნებისთვისაც იქნება სარეაბილიტაციო პროგრამა.

<u>თამარ აბაზაძე, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი</u>

ისევე როგორც 2018 წელს, 2019 წელს ასევე გამოწვევას წარმოადგენდა შშმ პირთა უფლებები, ვინაიდან 2019 წელს არსებითი ცვლილებები არ დაფიქსირებულა. არანაირი სააგენტო ამ დროისთვის არ არის პასუხისმგებელი და ასევე CRPD-ს დამატებითი ოქმის რატიფიცირებაც არ განხორციელებულა. ზომები მიღებული ფსიქოლოგიური ჯანდაცვისთვის არ არის საკმარისი. ბავშვები ფსიქოლოგიური პრობლემებით არ წარმოადგენენ საკმარისად პრიორიტეტულ ჯგუფს და ვერ სარგებლობენ მზრუნველობის პროგრამით. 2020 წლის ივნისში ცვლილებები შევიდა კანონში ფსიქიატრიული მზრუნველობის შესახებ, რის შედეგადაც 10 ახალი ორგანიზაცია უზრუნველყოფს ბავშვებისთვის პროგრამას და საზოგადოებრივ სერვისებს, რაც წინ გადადგმული ნაბიჯია.

8. ადამიანის უფლებების ახალი სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის სამზადისი - პრიორიტეტები და ამჟამინდელი მდგომარეობა

<u>ლელა აქიაშვილი, საქართველოს პრემიერ-მინისტრის მრჩეველი</u>

ადამიანის უფლებების ახალი სტრატეგია მნიშვნელოვანია, ვინაიდან ადგენს სტანდარტს შემდეგი 10 წლისთვის ადამიანის უფლებების სფეროში, წინა სტრატეგია მოგეხსნეებათ 2014 წელს იქნა მიღებული. ანა ბუჩუკური მოგაწვდით მეტ ინფორმაციას ახალი სტრატეგიის შესახებ, რომელიც მომზადდა ადამიანის უფლებების სამდივნოს მიერ. მოკლედ ასევე ვიტყვი LGBTI თემის უფლებების შესახებ კოვიდ-19-ის პანდემიის პერიოდში - ჩვენ ვუზრუნველყავით მათი წვდომა ძირითად საჭიროებებზე, გამოცემული იქნა მთავრობის განცხადება ჰომოფობიის წინააღმდეგ

საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით და ამჟამად ვმუშაობთ LGBTI თემის წარმომადგენლებისთვის ეფექტურ საპასუხო მექანიზმზე.

<u>ანა ბუჩუკური, მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა სამდივნო</u>

ამჟამად მოქმედი ადამიანის უფლებების სტრატეგია 2014-2020 წლებზე იყო გაწერილი და სრულდება ამ წლის ბოლოს. 2020 წლის თებერვალში პრემიერ-მინისტრმა საჯაროდ განაცხადა ახალ დოკუმენტზე მუშაობის პროცესი. უწყებათაშორის ჯგუფი იქნა დაარსებული ამ მიზნით, აქტიურად იქნენ ჩართული საერთაშორისო ექსპერტები. ბოლო 3 წლის საქართველოს სახალხო დამცველის და ეროვნული პრევენციის მექანიზმის ანგარიშები დეტალურად იქნა გააანალიზებული, შემუშავებული იქნა კითხვარი სამოქალაქო საზოგადოებისგან იდეების მისაღებად და სხვადასხვა ორგანიზაციებიდან, ჩართული ასევე არიან ეროვნული ექსპერტები და საქართველოს სახალხო დამცველი. დავიწყეთ მუშაობა მიზნებსა და მათ ინდიკატორებზე. დოკუმენტის პირველადი ვერსია როგორც კი მზად იქნება, გავუზიარებთ ყველა დაინტერესებულ მხარეებს.

<u>რიჩარდ ტიბელს, ევროკავშირის საგარეო ქმედებათა სამსახური</u>

ჩვენ გვაინტერესებს რა გაკვეთილები იქნება ნასწავლი წინა სტრატეგიიდან და რა დასკვნებს გამოიტანთ. ველით ინტერესით.

9. საერთაშორისო დონეზე თანამშრომლობა ადამიანის უფლებების სფეროში

<u>ვახტანგ მახარობლიშვილი, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო</u>

ნაყოფიერი თანამშრომლობა აქვს საქართველოს და ევროკავშირს საერთაშორისო ორგანიზაციებში. საქართველო აქტიურად ჩართულია და მუდმივად განიხილავს ახალ შესაძლებლობებს სამომავლო თანამშრომლობისთვის. ევროკავშირის ყოველთვის ვოკალური მხარდამჭერია ევროპის საბჭოს გენერალური სამდივნოს ანგარიშებში და იმედი გვაქვს ევროკავშირი განაგრძობს მომავალშიც. წევრი სახელმწიფოები ევროკავშირის აქტიური მხარდამჭერები არიან საქართველოსი კონფლიქტის თემაზე. ევროპის საბჭოში საქართველოს პრეზიდენტობისას 6 თვიდან 2 თვე იყო კოვიდ-19-ის პანდემიის პერიოდი და მოგვიწია აქტივობების მორგება, ისევე როგორც ახალი სამუშაო მეთოდების შემუშავება. არ გაჩერებულა მინისტრთა კომიტეტის სამუშაო პროცესი. ერთობლივი დეკლარაცია იქნა მიღებული ადამიანის უფლებებისა და გარემოს დაცვის თემაზე, რაც ჩვენთვის საამაყოა. მიღებული იქნა ახალი სტრატეგია 2030-სთვის, რაც ასევე მნიშვნელოვანი დოკუმენტია. ჩვენ დავასრულეთ იმპლემენტაციის პროცესი PACE-ს და COE მინისტრთა კომიტეტის ერთობლივი პროგრამის, რომელიც შეეხება კარგ მმართველობას და ხელს უწყობს ადამიანის უფლებების დაცვას, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის გაძლიერებას.

საქართველოს და ევროკავშირის თანამშრომლობა გაეროში ძალიან მნიშვნელოვანია. ცოტა ხნის წინ რეზოლუცია იქნა მიღებული გაეროში ჟენევაში საქართველოზე და ძალიან მადლობლები ვართ ევროკავშირის წევრი ქვეყნების მხარდაჭერისთვის. მნიშვნელოვანია ასევე მეორე რეზოლუცია გაეროს გენერალურ ასამბლეაზე, რომელიც შეეხება იძულებით გადაადგილებული პირებისა და ლტოლვილების საკითხს, წმინდა ჰუმანიტარული რეზოლუცია დაბრუნების უფლებისა და ძალით გადაადგილების შესახებ. ევროკავშირის წევრი ქვეყნები ძალიან მხარს გვიჭერენ, მხოლოდ კვიპროსი პერიოდულად არ ესწრება განხილვებს. იმედი გვაქვს ბრიუსელის თანადგომის კვიპროსის მხარდაჭერის მოსაპოვებლად, ვინაიდან კვიპროსი ასევე მხარს უჭერს გაეროში ჟენევაში მიღებულ რეზოლუციას. ეუთოსთან დაკვშირებით ვაფასებთ ფორმატს საქართველო-ევროკავშირის დიალოგს ეუთოს ფარგლებში, რაც საშუალებას იძლევა ერთობლივი პოზიცია იქნას შემუშავებული რიგ საკითხებზე. ასევე კმაყოფილი ვართ თანამშრომლობით ეროვნული უმცირესობების უმაღლეს კომისართან და ეუთოს წარმომდგენელთან მედიის თავისუფლების საკითხებში - ორივესთან გვაკავშირებს პროდუქტიული თანამშრომლობა. საქართველო ასევე აგრძელებს ევროკავშირის განცხადებების მხარდაჭერას.

ბექა ძამაშვილი, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

საქართველო აგრძელებს თანამშრომლობას სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთან (ICC) და სრულ მხარდაჭერას ვუზრუნველყოფთ საქართველოში ICC-ს ოფისისთვის, რათა ეფექტურად შეძლონ საკუთარი საქმიანობის განხორციელება. ჩვენ კომენტარს ვერ გავაკეთებთ მიმდინარე გამოძიებაზე, ვინაიდან მიმდინარეობის პროცესშია, ამასთან ჩვენ მხოლოდ დახმარებას ვუწევთ და ვართ კონტაქტში ყოველკვირეულად. საქართველოსთან დაკავშირებული საქმის გამოძიება ერთ-ერთი პრიორიტეტია სასამართლოსთვის, საქმე პროგრესს განიცდის და ახლო მომავალში შედეგები იქნება ხელმისაწვდომი. ამ წელს ახალი პროკურორი იქნება არჩეული და 6 მოსამართლე. ჩვენ ვითხოვთ მხარდაჭერას საქართველოს კანდიდატისთვის ევროკავშირის წევრი ქვეყნებიდან. ამჟამად ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში 3 საქმე მიმდინარეობს რუსეთის წინააღმდეგ: 1. ქართველების მასიური დეპორტაცია რუსეთიდან 2006 წელს. გასულ წელს იყო სასამართლოს გადაწვეტილება მიღებული და 10 მილიონის გადახდა დაეკისრა რუსეთს 1000 ქართველისთვის. რუსეთი უპატივცემულოდ ეპყრობა სასამართლოს გადაწყვეტილებას და არ უხდის კომპენსაციას დაზარალებულებს. შემდგომი მოსმენა ამ საკითხზე იქნება სექტემბრის პირველ კვირაში. ევროკავშირის წევრი ქვეყნების მხარდაჭერა ძალიან სასარგებლო იქნებოდა მინისტრთა კომიტეტში, რათა საქმემ წინ წაიწიოს. 2. ასევე 2008 წლის ომთან დაკავშირებული საკითხი, რომელზეც გადაწყვეტილებას ველოდებით ნებისმიერ დროს, ვინაიდან სასამართლო მოსმენები დასრულებულია. 3. ახალი სახელმწიფოთაშორის საქმე, რომელიც ასევე 2008 წლის აგვისტოს უკავშირდება - საქართველოს მოქალაქეების დაკავებები და შევიწროვება. ეს პრაქტიკა დაიწყო 2008 წელს და პიკს მიაღწია, როდესაც არჩილ ტატუნაშვილი აწამეს და მოკლეს. საქმის შესწავლა დაწყებულია, თუმცა დეტალური განხილვა დაიწყება მას შემდეგ, როდესაც 2008 წლის აგვისტოს წინა საქმეში სასამართლო გადაწყვეტილებას გამოიტანს.

ვახტანგ მახარობლიშვილი, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

ასევე გვინდა ხაზი გავუსვათ, თუ როგორ ვაფასებთ საქართველოს მონაწილეობას და ჩართულობას ევროკავშირის GHRS ინიციატივაში, რომელშიც 2 წელია ვთანამშრომლობთ. აქტიურად ვართ ჩართულები და მოხარულები სამომავლოდ გავაგრძელოთ ჩვენი მხრიდან წვლილის შეტანა.

რიჩარდ ტიბელს, ევროკავშირის საგარეო ქმედებათა სამსახური

ბრწყინვალე თანამშრომლობაა საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაეროში, ეუთოში და ევროპის საბჭოში.

ადრიანო მარტინს, ევროკავშირის საგარეო ქმედებათა სამსახური

მადლობელი ვათ საქართველოსთან თანამშრომლობის რეგიონალური ინიციატივის ფარგლებში მორატორიუმზე სიკვდილით დასჯის გამოყენების. 2020 წლის დეკემბერში რეზოლუცია იქნება მიღებული და იმედი გვაქვს საქართველოს მხარდაჭერის, როგორც 2018 წელს. რაც შეეხება კონკრეტულ ქვეყნებთან დაკავშირებულ რეზოლუციებს - საქართველომ არ დაუჭირა მხარი რეზოლუციას მიანმარზე, რეგულარულად არ ესწრება ირანზე ხმის მიცემის პროცესს და თავს იკავებს ბელარუსთან დაკავშირებით. ძალიან მოხარული ვართ, რომ საქართველო ევროკავშირის GHRS ინიციატივის აქტიური წევრია, ეფექტიანი ადამიანის უფლებების სფეროში პოზიტიური ნარატივი. რაც შეეხება ევროკავშირის მხარდაჭერას ეროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტში სასამართლო გადაწყვეტილების შესახებ, არ მოგერიდოთ დაგვიბრუნდეთ დამატებითი დეტალებით, თუ სად გესაჭიროებათ დახმარება და მეტი სამუშაო რა მიმართულებით არის გასაკეთებელი.

ვახტანგ მახარობლიშვილი, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

რაც შეეხება სიკვდილით დასჯას საქართველო წევრია სიკვდილის დასჯის წინააღმდეგ კოალიციის და ყოველთვის მხარდაჭერით ვხასიათდებით. რაც შეეხება მიანმარს, ჩავინიშნე თქვენი კომენტარი და შევისწავლით ამ საკითხს.

10. დღის წესრიგის სხვა საკითხები (AOB)

რიჩარდ ტიბელს, ევროკავშირის საგარეო ქმედებათა სამსახური

რაც შეეხება აფგან მუხთარლის საქმეს, ძალიან მოხარული ვართ, რომ იგი განთავისუფლებული იქნა და გვაინტერესებს საქართველოში მიმდინარე გამოძიების შედეგები მის საქმეში. დამატებით ავღნიშნავთ, რომ მნიშვნელოვანია საქართველომ განაგრძოს უსაფრთხო გარემოს შექმნა ადამიანის უფლებათა დამცველებისთვის, ვინც საქართველოში ცხოვრობენ. გაგეხარდება თუ შეგიძლიათ სიახლეები მოგვაწოდოთ იმ საქმეთა ჩამონათვალზე, რაც გასულ წელს გადმოგეცით.

ნიკოლოზ ჭინკორაშვილი, საქართველოს მთავარი პროკურატურა

აფგან მუხთარლის საქმეზე გამოძიებისას რამოდენიმე წარუმატებელი მცდელობა გვქონდა აზერბაიჯანის მხარესთან. 2020 მარტში კი ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ აფგან მუხთარლი გერმანიაში იმყოფებოდა და ვთხოვეთ გერმანელ კოლეგებს დისტანციური მოწმის დაკითხვის განხორციელება. მათ გვირჩიეს გაგვეგზავნა თანამშრომლობის თხოვნა ევროპის საბჭოს თანამშრომლობის ფარგლებში და ამ ფორმით მოგვეთხოვა დაკითხვა. გაგზავნილი იქნა თანამშრომლობის თხოვნა, ველით პასუხს.

რიჩარდ ტიბელს, ევროკავშირის საგარეო ქმედებათა სამსახური

დიდი მადლობა ხანგრძლივი დისკუსიებისთვის, რომელმაც მთელი დღე გასტანა, მაგრამ ძალიან სასარგებლო იყო. ჩვენ ვიცით თქვენი მოლოდინები ევროკავშირთან ძალიან მაღალია, შესაბამისად ჩვენი მოლოდინებიც თქვენს მიერ ადამიანის უფლებების ეფექტურ დაცვაზე ასევე მაღალია. ჩვენ ვაფასებთ ამ ფორუმ და ღია დისკუსიებს. რაც მეტად სერიოზულად ვეპყრობით ადამიანის უფლებებს ჩვენს ორხმრივ ურთიერთობებში, მეტად დამაჯერებელია ჩვენი მოქმედებები მრავალმხრივ ფორმატებში. ზოგადად ყველა მხარე უფრო საპატივცემო ხდება, როდესაც ადამიანის უფლებებს სერიოზულად ეკიდება. დიდი იმედი მაქვს დიალოგი გაგრძელდება მომდევნო წლებში და არა მხოლოდ ეს წლიური დიალოგი გვექნება, არამედ ადამიანის უფლებებზე ორივე მხრიდან კოლგების კიდევ უფრო მჭიდრო თანამშრომლობის იმედი გვაქვს, რათა დიალოგი რეალურად მთელი წელი უწყვეტად მიმდინარეობდეს. ჩვენ აქტიურად ვადევნებთ თვალს მომავალ საპარალამენტო არჩევნებს. იმედი გვაქვს თქვენს მიერ გაწეული დიდი რაოდენობით შრომა შედეგს გამოიღებს და ჩატარდება სანდო, სამართლიანი არჩევნები.

ვახტანგ მახარობლიშვილი, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

მეც ასევე გიერთდებით და მადლობას მოვახსენებ ყველა მონაწილეს ძალიან საინტერესო და ნაყოფიერი დისკუსიებისთვის. ვგეგმავთ ჩვენს შემდგომ ნაბიჯებს და დღევანდელი დისკუსია ძალიან სასარგებლო იქნება ამ პროცესში. ეს ფორმატი მუდამ არის შედეგიანი და ძალიან ინფორმაციული. იმედია პრეს-რელიზზე მუშაობას სულ მალე დავასრულებთ, როგორც მესმის სულ რამოდენიმე საკითხი დარჩა შესათანხმებელი. ყველა საკითხზე ომბუდსმენის წარმომადგენლის კომენტარი სიახლეა და ძალიან საინტერესო. მადლობა რიჩარდ დიალოგის თანათავმჯდომარეობისთვის. გავაგრძელებთ თანამშრომლობას ყოველთვიურად და ყოველკვირეულად ადამიანის უფლებების საკითხებში.

<u>რიჩარდ ტიბელს, ევროკავშირის საგარეო ქმედებათა სამსახური</u>

ივონმა შემახსენა, რომ იგეგმება 10 მილიონ ევროდ ღირებული ადამიანის უფლებათა იმპლემენტაციისთვის საჭირო პროგრამის წამოწყება. ეს წარმოაჩენს რამდენად ღრმა არის ჩვენი ურთიერთობა ადამიანის უფლებების სფეროში და ველით კიდევ უფრო მჭიდრო თანამშრომლობას. ჩვენ ჩავინიშნეთ კვიპროსთან დაკავშირებული საკითხი და მათ მუდმივ წარმომადგენლობას დავუკავშირდებით ამ საკითხზე.